ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №2. თებერვალი. 2014.

განათლების IV საერთაშორისო გამოფენა

14-15 თებერვალს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საგამოფენო ცენტრ ,,ექსპო-ჯორჯიაში" გამართულ განათლების IV საერთაშორისო გამოფენაში მიიღო მონაწილეობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ მერაბ დიასამიძემ, პრესსამსახურის უფროსმა ნინო დოლიძემ, სტუდენტებმა: ნონა მარკარიანმა, დავით ბენდელიანმა და რეზო ჭანტურიამ აბიტურიენტებსა და ყველა დაინტერესებულ პირს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროგრამები, სწავლების პირობები, სტუდენტური ცხოვრება, გაცვლითი და სოციალური პროგრამები გააცნეს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტენდი აბიტურიენტებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა და დამთვალიერებელთა სიმრავლით გამოირჩეოდა. მომავალ სტუდენტებს დაურიგდათ ბუკლეტები და ფლაერები, სადაც შეეძლოთ დეტალური ინფორმაციის მიღება ფაკულტეტების, სწავლის დაფინანსებისა და სტუდენტური სერვისების შესახებ, ასევე გადაეცათ უნივერსიტეტის ბლოკნოტები, კალმები, ღია ბარათები და სამახსოვრო საჩუქრები.

საერთაშორისო და ადგილობრივი გამოკითხვების მიხედვით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად უმაღლეს სასწავლებელს შორისაა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აბიტურიენტებს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ და აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს. მაღალკვალიფიციურ აკადემიურ პერსონალთან ერთად ლექციებს კითხულობენ სტუმარი-პროფესორის სტატუსით მოწვეული უცხოელი ექსპერტები. უნივერსიტეტში მოქმედებს 20-მდე სახელობითი სტიპენდია 100-დან 312 ლარის ოდენობით. 1-ლი კურსის სტუდენტებს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციისას პირველ რიგში მიუთითებენ ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტს/სპეციალობას და მე-4 არჩევით საგანში ექნებათ მაღალი ქულა, ენიშნებათ სტიპენდია 100 ლარის ოდენობით, ხოლო დედ-მამით ობოლი სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან. უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის ფონდი, რომელიც სტუდენტების სწავლის დაფინანსებასა და დასაქმებას უზრუნველყოფს. უნივერსიტეტს მემორანდუმი აქვს გაფორმებული ევროპისა და ამერიკის წამყვან საგანმანათლებო დაწესებულებებთან, რომლის საფუძველზე მიმდინარეობს ერთობლივი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება, რაც ქართველი და უცხოელი სტუდენტების მობილობის საშუალებას იძლევა. მოქმედებს გაცვლითი პროგრამები -,,Erasmus mundus", „Temus", „Irex", „Daad", „Mevlana", „Fulbright" და სამთავრობო სტიპენდიები. ბსუ ახალგაზრდებს აქტიურ და საინტერესო სტუდენტურ ცხოვრებას სთავაზობს. თითოეულ სტუდენტს საშუალება აქვს გამოავლინოს თავი, განავითაროს საკუთარი ინტერესების სფერო და უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ სტუდენტურ საქმიანობაში, როგორც განათლებისა და მეცნიერების, ასევე სპორტისა და კულტურის მიმართულებით.

განათლების საერთაშორისო გამოფენაში უნივერსიტეტი მესამედ მონაწილეობს. ფორუმი საშუალებას აძლევს აბიტურიენტებს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების პროდუქტს გაეცნოს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფართო საზოგადოებას 79-წლიანი უნივერსიტეტის ისტორია და სერვისები წარუდგინა. გამოფენის ფარგლებში დაიგეგმა თანამშრომლობის დამყარება საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, ერთობლივი პროექტების განხორციელება და სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სტაჟირება. ორდღიანი განათლების საერთაშორისო გამოფენა 14 თებერვალს გაიხსნა და მასში საქართველოსა და უცხოეთის 100-ზე მეტი აკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულება მონაწილეობდა.

აკადემიური ნაშრომების კონკურსი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ,,დემოკრატია და მოქალაქეობის" სასწავლო კურსის სტუდენტებმა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ ორგანიზებულ აკადემიური ნაშრომების კონკურსში მიიღეს მონაწილეობა. ქვეყნის 22 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მონაწილეებს შორის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები: ელზა ბარამიძე, რამინ მაჭარაშვილი, ნიკა მჟავანაძე, მირიან თაფლაძე, მარიამ ზოიძე, სოფიო კეკელიძე, ანა ნიქაბაძე და მეგი ბარამიძე წარმატებული ნაშრომებისა და პრეზენტაციისთვის სიგელებით დაჯილდოვდნენ. ბათუმის გუნდის წევრები თეორიული ცოდნის გასაღრმავებლად ბაკურიანის ზამთრის სკოლაში არიან მიწვეულნი.

შეხვედრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორებმა: ნოდარ ფუტკარაძემ და ლილით მელოიანი-ფუტკარაძემ ტემპუსის პროექტის „აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა კულტურული და სტრუქტურული ადაპტაციის მეშვეობით" ფარგლებში გამართულ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრის მონაწილეები ორი დღის განმავლობაში პარტნიორ უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამებს გაეცნენ, ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს ინტერნაციონალიზაციის სფეროში და „Promoting Internationalization of HEIs in Eastern Neighbourhood Countries through Cultural and Structural Adaptations (PICASA)" პროექტის სამომავლო გეგმები განიხილეს.

სწავლების მეთოდები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ტრენინგი ჩატარდა თემაზე: „სწავლების მეთოდები". სწავლება ტემპუსის საგრანტო პროექტის "530311-TEMPUS-1-2012-1-AM-TEMPUS-JPCR: MASTER IN HIGHER EDUCATION MANAGEMENT: DEVELOPING LEADERS FOR MANAGING EDUCATIONAL TRANSFORMATION" ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგების მეორე ეტაპი გაიმართა და მიზნად ისახავდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლებისათვის სწავლების თანამედროვე მეთოდების გაცნობას. პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორმა ლელა თავდგირიძემ ტრენინგის მონაწილეებს ორი დღის განმავლობაში სწავლება—სწავლის მიდგომები, სტრატეგიები, შეფასების თანამედროვე პრინციპები, კრიტერიუმები, კრიტიკული აზროვნებისა და გუნდური მუშაობის სპეციფიკა წარუდგინა.

სამეცნიერო კონფერენცია „მუჰაჯირები"

სამხრეთ საქართველოდან თურქეთის შიდა პროვინციაში გადასახლებული ქართველების (მუჰაჯირებს) ისტორიას, მათ შთამომავალთა თანამედროვე ყოფას, კულტურასა და სხვა აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა ქართველოლოგიის ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია „მუჰაჯირები". სამეცნიერო სესია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა და მის მუშაობაში საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად, უცხოელი მკვლევრებიც მონაწილეობდნენ. „საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა დასახლებებისა და ყოფის კვლევის" პროგრამის ფარგლებში გამართულ კონფერენციაზე მონაწილეებმა ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები შეაჯამეს.

შეხვედრა სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამის მონაწილე სტუდენტებთან

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ კონკურსის საფუძველზე სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამის მონაწილე სტუდენტები შეარჩია. ოთხი საუკეთესო სტუდენტი რვა თვის განმავლობაში შეისწავლის საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციას, ინვენტარიზაციას, საავტორო უფლებების დაცვას, ბეჭდური კოლექციის განლაგებას წიგნთსაცავში, ფონდების დაცვასა და ჰიგიენას, მკითხველთან ურთიერთობისა და მომსახურების წესებს. ილია ჭავჭავაძის სამკითხველო დარბაზში გამართულ შეხვედრაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ედიშერ ჩავლეიშვილმა და ბიბლიოთეკის დირექტორმა ლელა თურმანიძემ გამარჯვებულ კონკურსანტებს წარმატება მიულოცეს და 2013 წლის პროგრამის სტაჟიორებს სერტიფიკატები გადასცეს.

საბჭოთა ოკუპაციის დღე

საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმწიფო დროშის დაშვებით დაიწყო. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ირაკლი ბარამიძემ, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპული გმირები და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას. სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ღია ლექცია ჩაატარა თემაზე: „25 თებერვალი - საბჭოთა ოკუპაციის დღე".

მემორანდუმი OTH რეგენსბურგის უმაღლეს სასწავლებელთან

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ირაკლი ბარამიძემ და OTH რეგენსბურგის უმაღლესი სასწავლებლის პროფესორმა მარტინ ენზერმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთობლივი კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების ჩატარებასა და სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამების განხორციელებას. მემორანდუმის ფარგლებში შემუშავდება ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მუშაკი" და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური სამსახური".

უნივერსიტეტში საქართველოს კონსტიტუციის მიღების დღე აღინიშნა

საქართველოს კონსტიტუციის მიღების 93 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა სტუდენტებისათვის საქართველოს კონსტიტუციის თემაზე საჯარო ლექცია წაიკითხა. უწყების ხელმძღვანელმა ახალგაზრდებს კონსტიტუციის შექმნის ისტორია, სამართლებრივი ასპექტები, 1921 წელს განვითარებული მოვლენები გააცნო და მომავალი სამართალდამცავების აქტუალურ შეკითხვებს უპასუხა. ლექციის დასასრულს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფოიეში ქვეყნის პირველი კონსტიტუციის მიღების ამსახველი ფოტოგამოფენა მოეწყო.

სიახლენი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით, 2014 წლის 10 იანვრიდან 6 თებერვლამდე ჩატარდა ძირითადი საგამოცდო სესიები, 10-დან 15 თებერვლამდე პერიოდი კი დაეთმო დამატებით გამოცდებს იმ კატეგორიის სტუდენტთათვის, ვისი აქტივობაც განვლილ სემესტრში შეფასდა Fx-ით (41-დან 51 ქულამდე).

ფინალურ გამოცდებამდე სტუდენტები გარკვეული სიახლით მივიდნენ. მიმდინარე სასწავლო წლიდან ორი 10-ქულიანი შუალედური გამოცდის ნაცვლად ჩატარდა ერთი- 20 ქულიანი შუალედური გამოცდა მე-9-მე-10 კვირებში, რამაც, ვფიქრობთ, გაამართლა. გაიზარდა სტუდენტთა მოტივაცია და დაიზოგა ის დრო და ენერგია, რაც ორი შუალედური გამოცდის ორგანიზებისთვის იყო საჭირო.

ვფიქრობთ, ასევე გამართლებულია ფინალური გამოცდის სავალდებულო სტატუსიც და გარკვეული ბარიერის არსებობაც (ჩვენს შემთხვევაში 16 ქულა). დასკვნით გამოცდაზე, ფაქტობრივად ჯამდება სტუდენტის მთელი სემესტრული მუშაობა და მან სწორედ აქ უნდა გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები.

გასული საგამოცდო სესიების პერიოდში გვქონდა კიდევ ერთი სიახლე. თუკი ბოლო რამდენიმე სემესტრის განმავლობაში გამოცდები ტარდებოდა ერთიან სივრცეში (ამისათვის ვიყენებდით სპორტულ დარბაზებს და უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეებს), ამჯერად გადავწყვიტეთ ფაკულტეტების მიხედვით მათი ორგანიზება სასწავლო აუდიტორიებში, რამაც არაერთგვაროვანი შედეგი მოგვცა. ამიტომაც, ბუნებრივია, ჯერ დინამიკაზე რთულია საუბარი, თუმცა აკადემიური შედეგების თვალსაზრისით რაიმე მკვეთრი გარღვევა თუ შემობრუნება არ შეიმჩნევა.

სიახლეა ისიც, რომ გაორმაგდა კომპიუტერებთან ჩატარებული გამოცდების რაოდენობა, პარალელურად კი გაიზარდა ზეპირი გამოცდების რიცხვიც. გამოცდების მიმდინარეობისას რაიმე სერიოზული დარღვევები არ გამოვლენილა, იყო მცირე ხარვეზები (ძაბვის ვარდნის გამო საჭირო ხდებოდა კომპიუტერების გადატვირთვა, ტექნიკური მიზეზით გარკვეული დროით გამოცდების გადატანა და სხვა), რაც ადვილად გვარდებოდა ადგილზე სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით.

გვქონდა სხვის მაგივრად გამოცდაზე გასვლის რამდენიმე შემთხვევაც, რაც სამსახურებმა დროულად დააფიქსირეს და მიღებულ იქნა შესაბამისი ზომები. სხვა მხრივ გამოცდები ჩატარდა ორგანიზებულად, მშვიდ და კეთილგანწყობილ გარემოში და მიღებული შედეგიც, შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად სტუდენტთა ცოდნის ადექვატური იყო.

უნივერსიტეტის ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლე გვაქვს ის, რომ წლის დასაწყისში ავტორიზაციის საბჭომ სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრად 7000 დაგვიდგინა, რაც გვაძლევს კიდევ უფრო მეტად გაფართოებისა და გაზრდის საშუალებას. ბოლო პერიოდში აკრედიტაცია გაიარა რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამამ სწავლების სამივე საფეხურზე, რამაც შესაძლებლობა მოგვცა მომავალი სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი 1250-მდე გაგვეზარდა. თუკი შარშან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ე.წ. უფასო ადგილების რაოდენობა ჩვენს უნივერსიტეტში 175 იყო, წელს, სავარაუდოდ ეს რიცხვი გაორმაგდება, რაც კიდევ უფრო მეტ სოციალურად დაუცველ სტუდენტს მისცემს საშუალებას ისწავლოს სახელმწიფო ხარჯით. ჩვენი მხრივ, ვინარჩუნებთ ყველა იმ სოციალურ პროგრამას (პროგრამა სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის, სახელობითი და ჩვეულებრივი სტიპენდიები, სტუდენტთა მხარდაჭერის ფონდი და სხვა), რომელიც უნივერსიტეტში მოქმედებს და ვცდილობთ მინიმუმამდე დავიყვანოთ იმ სტუდენტთა რიცხვი, რომელთაც ფინანსური დავალიანების გამო უნდა შეუჩერდეთ სტუდენტის სტატუსი. სწორედ ამას ემსახურებოდა სწავლის წლიური საფასურის ექვსად გაყოფაც, რაც მიმდინარე სასწავლო წლიდან ამოქმედდა. წარმატებულ სტუდენტთათვის უნივერსიტეტში მოქმედებს და მრავალფეროვნდება გაცვლითი პროგრამები, რითაც დღემდე ასობით სტუდენტმა ისარგებლა და გარკვეულ ცოდნასთან ერთად საინტერესო გამოცდილებაც შეიძინა...

მომავალი სასწავლო წლიდან ვგეგმავთ უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული სისტემის შემოღებას, რაც უფრო გაამარტივებს სტუდენტთა აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ რეგისტრაციას, ზოგადად სასწავლო პროცესის მართვას, თუმცა მის საბოლოო დანერგვას ალბათ, გარკვეული პერიოდი დასჭირდება. ვფიქრობთ ფაკულტეტების ფინანსური დამოუკიდებლობის გაზრდაზეც, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციაზე, საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კავშირ-ურთიერთობების გაღრმავებაზე და ა.შ.

ირაკლი ბარამიძე,
რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში

საგრანტო კონკურსში გამარჯვებული

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების“ საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა ფიზიკის დოქტორანტმა მირანდა ხაჯიშვილმა, მეცნიერ-ხელმძღვანელი სრ.პროფ. ნუგზარ ღომიძე. დოქტორანტის მიერ წარდგენილ იქნა პროექტი ,,მოდულირებული სიგნალები დისპერსიულ გარემოში”.

პროექტის ფარგლებში მიმდინარე წლის 4-11 თებერვალს დოქტორანტი მირანდა ხაჯიშვილი მივლინებით იმყოფებოდა უკრაინაში, კერძოდ დონეცკის ფიზიკა-ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც წარმატებით გაიარა ინდივიდუალური პროგრამა, რომელიც სპეციალურად მისთვის იქნა შედგენილი. სასწავლო-სამეცნიერო გამოცდილების გაზიარებისათვის პეროსნალურად მისთვის ჩატარდა სხვადასხვა სემინარი და სამეცნიერო შეხვედრა. მიწვეული იქნა სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, რომლებსაც ორგანიზებას გაუწევს დონეცკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკური ფაკულეტეტი. დოქტორანტის სტაჟირებას და მისთვის განსაკუთრებული პროგრამის შედგენას შუამდგომლობა გაუწია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა ბატონმა ალბერტ შათაშვილმა, რომელსაც ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო შემოქმედებითი საქმიანობა აკავშირებს მასპინძელ უნივერსიტეტთან.

დოქტორანტის ინდივიადუალურ პროგრამას ხელმძღვანელობდა დონეცკის ფიზიკა-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ანატოლი ალექსის ძე კარგინი.

მირანდა ხაჯიშვილს გადაეცა დონეცკის სახელმწიფო უნივერსიტეტის სერტიფიკატი ინდივიდუალიური პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის.

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი მადლობას უხდის ბატონ ალბერტ შათაშვილს დონეცკის ფიზიკა-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანთან შუამდგომლობისა და დახმარებისათვის და გამოთქვამს მზადყოფნას ფაკულტეტებს შორის მომზადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სასწავლო და სამეცნიერო გამოცდილების გაზიარების გზით უკრაინელ და ქართველ სტუდენტებს, მეცნიერ-თანამშრომლებსა და მკვლევრებს შეუქმნან პარტნიორობის მტკიცე და ნაყოფიერი საფუძველი.

გულადი ფარტენაძე,
ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

წმიდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

8 თებერვალს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ინტელექტუალური თამაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბათუმში მოქმედი 26 საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებმა. ღონისძიების მხარდამჭერნი იყვნენ: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, აჭარის საპატრიარქო, სტუდენტთა მომსახურების და მხარდაჭერის სამსახური და სტუდენტური თვითმმართველობა.

გამოვლინდა გამარჯვებულებიც მათ ბოტანიკური ბაღის წარმომადგენელმა გადასცა ბოტანიკური ბაღის მიერ გამოცემული წიგნები, მათ ასევე გადაეცათ ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოცემული წიგნები ქ. ბათუმის ისტორიის შესახებ, აჭარის საპატრიარქოს მხრიდან კი გამარჯვებულებს გადაეცათ ხატები და საეკლესიო წიგნები.

I ადგილი დაიკავა მე-9 საჯარო სკოლის გუნდმა „მამულიშვილნი“, II ადგილი შ.პ.ს. მასტერკლასის გუნდმა „მასტერკლასმა“, ხოლო III ადგილი გაიყო სამმა გუნდმა.

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი კვლავ აპირებს მსგავსი ტიპის ღონისძიებების განხორციელებას და აქტიურად ითამაშრომლებს ბათუმის საჯარო/კერძო სკოლებთან.

გვანცა თურმანიძე,
სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის თავმჯდომარე

ურთიერთობა და ინტერნეტი

„ჭეშმარიტი ფუფუნება ადამიანური ურთიერთობაა“, — ამბობს ფრანგი მწერალი ეგზიუპერი. მართლაც ურთიერთობა ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებაა, რომელიც თავს ჯერ კიდევ ჩვილობის ასაკიდან იჩენს. მეცნიერული განმარტებით, ეს ადამიანთა შორის კონტაქტის დამყარების რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელიც ინფორმაციისა და ემოციების გაცვლას, მეორე ადამიანის აღქმასა და გაგებას გულისხმობს.

ურთიერთობის ერთ-ერთი ბაზისური განზომილება მოწონებაა. როცა ადამიანი პირველად ხვდება სხვა პიროვნებას, ერთ-ერთი პირველი კითხვა, რომელსაც იგი უსვამს თავის თავს, შემდეგია: მოვეწონე თუ არა მას? მომეწონა თუ არა იგი მე? შევნიშნოთ, რომ ჩვენ ვიყენებთ ტერმინს ,,მოწონება“ და არა უფრო ნეიტრალურ ტერმინს, როგორიცაა ,,პოზიტიურად შეფასება“. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვიხილავთ რაღაც უფრო მეტს, ვიდრე მეორე ინდივიდის პოზიტიურად შეფასებაა. ჩვენ ვეხებით ფაქტორებს, რომლებსაც მივყავართ მეგობრობამდე და მოწონებამდე უფრო პიროვნული გაგებით. ადამიანისათვის მოწონება წარმოადგენს უმეტესი ურთიერთქმედების ძირითად დეტერმინანტს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მოწონებაზე, არის მსგავსება, უბრალოდ, მოწონება-არმოწონებაშიც არსებობს ძლიერი ტენდენცია, მოგვეწონოს ის, რომელიც ჩვენი მსგავსია. მსგავსების ეფექტი უფრო ნათელია იმ ადამიანებში, რომლებიც ინაწილებენ დიდ კულტურულ და დემოკრატიულ მახასიათებლებს — რწმენას, ინტერესებს, წარსულს. ასეთი მახასიათებლებია: ნაციონალური ფონი, რელიგია, პოლიტიკა, სოციალური კლასი, განათლების დონე, ასაკი და სხვა. ასევე გავლენას ახდენს პროფესია, ინტელექტის დონე, მოცემულ სფეროში ტალანტი და თუნდაც სიმაღლე, წონა, ფიზიკური მოქნილობა ან სიძლიერე.

ამრიგად, მსგავსების ეფექტის ანალიზს სოციალური შედარების თეორიის ტერმინებში მივყავართ მოლოდინამდე, რომ ჩვენ მოგვეწონება ის სხვა, რომელიც ჩვენი მსგავსია. პირველი, ჩვენ შესადარებლად ვარჩევთ ჩვენს მსგავს ადამიანებს და გარდა ამისა, რადგან მსგავსება ჩვენს შედარებას ხდის განმამტკიცებლად, ჩვენ მიდრეკილება გვაქვს, მოგვეწონოს ეს ინდივიდი.

ამასთან ერთად, ადამიანებს მოსწონთ ის, ვინც მათ აჯილდოებს ან ვინც ასოცირებულია სასიამოვნო განცდებთან. ჩვენ გვიყვარს მშვენიერი გოგონა ან ლამაზი მამაკაცი იმიტომ, რომ გვსიამოვნებს მისი ცქერა. კეთილი ადამიანები ყოველთვის აჯილდოებენ სხვებს და ამიტომ ისინი უფრო მოსწონთ. იგივე ითქმის ადამიანებზე, რომლებიც არიან მეგობრულ?, გულწრფელი და ა.შ. ის, ვისაც ახასიათებს ეს თვისებები უფრო სასიამოვნოა.

ამ პრინციპის უფრო მნიშვნელოვანი ნაგულისხმევი აზრი ისაა, რომ ჩვენ მოგვწონ? ის ადამიანები, რომლებსაც მოვწონვართ. თუ ჩვენ ვინმეს შესახებ გვაქვს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომ მას მოვწონვართ, გვიჩნდება პრედისპოზიცია, მოგვეწონოს ის და პირიქით.

ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ მეცნიერები თვლიდნენ, რომ ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მოწონებას და მეგობრობას, ასევე არის ტერიტორიული სიახლოვე. ერთ-ერთი განმსაზღვრელი იმისა, გახდება თუ არა ორი ადამიანი ერთმანეთის მეგობარი, არის ის, თუ რამდენად ახლოს ცხოვრობენ ისინი ერთმანეთთანო. თუ ერთი მათგანი ცხოვრობს ბრაზილიაში და მეორე - ჩინეთში, ადვილი მისახვედრია, რომ ისინი ვერ იქნებიან მეგობრები. ასევე, თუ ისინი ცხოვრობენ ქალაქის სხვადასხვა მხარეს, ნაკლები ალბათობაა, რომ იყვნენ მეგობრები, ფიქრობდნენ ისინი. თუმცა ინტერნეტის ეპოქამ ეს მოსაზრება მთლიანად უარყო. იწვევს კი ვინმეში ეჭვს ის ფაქტი, რომ ინტერნეტის გამოჩენამ უდიდესი იმპულსი მისცა ადამიანების ურთიერთობას და მათ დაახლოებას? ცხადია, მე-20 საუკუნის ბოლო წლებამდე ბიჭების უმრავლესობას აზრადაც კი არ მოუვიდოდათ, „ახალ მეგობარ გოგონებთან“ ამ გზით ურთიერთობის დამყარება. რა წვლილი შეიტანა ინტერნეტმა ურთიერთობებში? კვლევებმა აჩვენა, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა ყველაზე აქტიური საქმიანობა სოციალური ურთიერთობებია. ინტერნეტის დაახლოებით 4100 მომხმარებლის გამოკითხვამ ცხადყო, რომ მათი 90% ინტერნეტს ელექტრონული ფოსტისთვის იყენებდა, 24% კი ე.წ. „ჩატში“ მონაწილეობს. სხვა კვლევა აჩვენებს, რომ ურთიერთობათა დიდმა რაოდენობამ კიბერსივრციდან ფიზიკურ სივრცეში გადაინაცვლა. განვიხილოთ კვლევა, რომელშიც 568 ინდივიდი მონაწილეობდა (59% ქალი და 41% კაცი). მათ სთხოვეს, რომ ერთმანეთისთვის ინტერნეტით ახალი ამბები გაეგზავნათ. ამ ჯგუფის წევრების 63% ინტერნეტით გაცნობის შემდეგ სატელეფონო ურთიერთობებზე გადავიდა. 54% კი ინტერნეტით გაცნობილ პიროვნებას შეხვდა. ორი წლის შემდეგ ჩატარებულმა გამოკითხვამ კი აჩვენა, რომ ინტერნეტით დამყარებული ურთიერთობები ისევ მყარი იყო. ფაქტობრივად, შერჩევის 15% დანიშნული იყო, 10% კი — უკვე დაქორწინებული ინტერნეტპარტნიორზე. ადრე აღვნიშნეთ, რომ სიახლოვე მოწონების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. აუცილებელია, რომ ადამიანს შეხვდეთ, ვიდრე თქვენ შორის მოწონება ან რომანტიკული ურთიერთობები ჩამოყალიბდება. ზემოთ განხილული კვლევები აჩვენებს, რომ გეოგრაფიული სიშორის მიუხედავად, ინტერნეტი ფსიქოლოგიური დაახლოების კარგ საშუალებას იძლევა. ფაქტობრივად, არსებობს მონაცემები, რომ ინტერნეტის საშუალებით ურთიერთობები უკეთ იწყება, ვიდრე პირისპირ. რატომ უნდა ხდებოდეს ასე? მკვლევრები ფიქრობენ, რომ ინტერნეტით დაწყებული ურთიერთობა მონაწილეებს საშუალებას აძლევს, ნაკლებად მოექცნენ გარეგნობის გავლენის ქვეშ. უფრო მეტიც, ინტერნეტის დროებითი ანონიმურობა, როგორც ჩანს, ამხნევებს ადამიანებს, უფრო მეტად გახსნის შესაძლებლობას აძლევს მათ, რაც უფრო მეტად აძლიერებს მოწონებას. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენს შედარებას ხდის განმამტკიცებლად, ჩვენ მიდრეკილება გვაქვს, მოგვეწონოს ეს ინდივიდი.

ამასთან ერთად, ადამიანებს მოსწონთ ის, ვინც მათ აჯილდოებს ან ვინც ასოცირებულია სასიამოვნო განცდებთან. ჩვენ გვიყვარს მშვენიერი გოგონა ან ლამაზი მამაკაცი იმიტომ, რომ გვსიამოვნებს მისი ცქერა. კეთილი ადამიანები ყოველთვის აჯილდოებენ სხვებს და ამიტომ ისინი უფრო მოსწონთ. იგივე ითქმის ადამიანებზე, რომლებიც არიან მეგობრულ?, გულწრფელი და ა.შ. ის, ვისაც ახასიათებს ეს თვისებები უფრო სასიამოვნოა.

ამ პრინციპის უფრო მნიშვნელოვანი ნაგულისხმევი აზრი ისაა, რომ ჩვენ მოგვწონ? ის ადამიანები, რომლებსაც მოვწონვართ. თუ ჩვენ ვინმეს შესახებ გვაქვს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომ მას მოვწონვართ, გვიჩნდება პრედისპოზიცია, მოგვეწონოს ის და პირიქით.

ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ მეცნიერები თვლიდნენ, რომ ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მოწონებას და მეგობრობას, ასევე არის ტერიტორიული სიახლოვე. ერთ-ერთი განმსაზღვრელი იმისა, გახდება თუ არა ორი ადამიანი ერთმანეთის მეგობარი, არის ის, თუ რამდენად ახლოს ცხოვრობენ ისინი ერთმანეთთანო. თუ ერთი მათგანი ცხოვრობს ბრაზილიაში და მეორე - ჩინეთში, ადვილი მისახვედრია, რომ ისინი ვერ იქნებიან მეგობრები. ასევე, თუ ისინი ცხოვრობენ ქალაქის სხვადასხვა მხარეს, ნაკლები ალბათობაა, რომ იყვნენ მეგობრები, ფიქრობდნენ ისინი. თუმცა ინტერნეტის ეპოქამ ეს მოსაზრება მთლიანად უარყო. იწვევს კი ვინმეში ეჭვს ის ფაქტი, რომ ინტერნეტის გამოჩენამ უდიდესი იმპულსი მისცა ადამიანების ურთიერთობას და მათ დაახლოებას? ცხადია, მე-20 საუკუნის ბოლო წლებამდე ბიჭების უმრავლესობას აზრადაც კი არ მოუვიდოდათ, „ახალ მეგობარ გოგონებთან“ ამ გზით ურთიერთობის დამყარება. რა წვლილი შეიტანა ინტერნეტმა ურთიერთობებში? კვლევებმა აჩვენა, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა ყველაზე აქტიური საქმიანობა სოციალური ურთიერთობებია. ინტერნეტის დაახლოებით 4100 მომხმარებლის გამოკითხვამ ცხადყო, რომ მათი 90% ინტერნეტს ელექტრონული ფოსტისთვის იყენებდა, 24% კი ე.წ. „ჩატში“ მონაწილეობს. სხვა კვლევა აჩვენებს, რომ ურთიერთობათა დიდმა რაოდენობამ კიბერსივრციდან ფიზიკურ სივრცეში გადაინაცვლა. განვიხილოთ კვლევა, რომელშიც 568 ინდივიდი მონაწილეობდა (59% ქალი და 41% კაცი). მათ სთხოვეს, რომ ერთმანეთისთვის ინტერნეტით ახალი ამბები გაეგზავნათ. ამ ჯგუფის წევრების 63% ინტერნეტით გაცნობის შემდეგ სატელეფონო ურთიერთობებზე გადავიდა. 54% კი ინტერნეტით გაცნობილ პიროვნებას შეხვდა. ორი წლის შემდეგ ჩატარებულმა გამოკითხვამ კი აჩვენა, რომ ინტერნეტით დამყარებული ურთიერთობები ისევ მყარი იყო. ფაქტობრივად, შერჩევის 15% დანიშნული იყო, 10% კი — უკვე დაქორწინებული ინტერნეტპარტნიორზე. ადრე აღვნიშნეთ, რომ სიახლოვე მოწონების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. აუცილებელია, რომ ადამიანს შეხვდეთ, ვიდრე თქვენ შორის მოწონება ან რომანტიკული ურთიერთობები ჩამოყალიბდება. ზემოთ განხილული კვლევები აჩვენებს, რომ გეოგრაფიული სიშორის მიუხედავად, ინტერნეტი

პირისპირ შეხვედრისას, პირველ შთაბეჭდილებას ქმნის ვიზუალური ეფექტი. ჩვენ არ ვიცით იმ ადამიანის შინაგანი სამყარო, ხასიათის თვისებები, ინტელექტის დონე, ინტერესები, რომელებსაც პირველად ვხედავთ. ამიტომ უპირატესობას ვანიჭებთ გარეგნობას. თუ არ დაგვაკმაყოფილა გარეგნულმა ნიშნებმა, უმეტეს შემთხვევაში, აღარ ვაგრძელებთ ურთიერთობას. ინტერნეტით ურთიერთობისას კი გარეგნული ნიშნები უკანა პლანზე გადაინაცვლებს, რადგანაც არ გვაქვს საშუალება სურათებით ან სკაიპის ეკრანიდან სწორად შევაფასოდ სილამაზე. ამიტომაც, ჯერ ვეცნობით ადამიანებს, ვსაუბრობთ სხვადასხვა საკითხზე, ჩავსწვდებით ერთმანეთის აზრებს, შეხედულებებს, ინტერესებს, ინტელექტის დონეს და როცა აღმოვაჩენთ რომ ეს ადამიანი ჩვენთვის საინტერესო და მისაღებია, ვხვდებით ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ის ადამიანი გარეგნობით მაინცდამაინც არც შეესაბამებოდეს ჩვენს გემოვნებას, მაგრამ უკვე უფრო დიდ მნიშვნელობას მის შინაგან სამყაროს ვანიჭებთ, ვგრძნობთ გარკვეულ მიჯაჭვულობას მის მიმართ, რაც იწვევს სწორედ ურთიერთმოწონებას და ურთიერთობაც გრძელდება. ხშირ შემთხვევაში კი ადამიანები იმდენად ეჩვევიან ერთმანეთს ინტერნეტით ხანგრძლივად ურთიერთობისას, რომ შეხვედრისას ლამაზადაც კი ეჩვენებათ ერთმანეთი, რაც ასევე ურთიერთმოწონების გარანტიაა.

მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო იმ ადამიანების ცხოვრებამ, რომელთა მიერ ინტერნეტის გამოყენების სიხშირე ამცირებს მათ აქტივობას რეალურ ცხოვრებაში. თუმცა, ზემოთ მოცემული მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ ინტერნეტი, შესაძლოა, ადამიანთა დიდი ნაწილის სოციალურ და რომანტიკულ ცხოვრებაში დადებით მამოძრავებელ ძალად ჩაითვალოს.

რუსუდან ბერიძე,
ფსიქოლოგიის აკადემიური
დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

სასკოლო ცხოვრება მაღალმთიან აჭარაში

ნომრის სტუმარია ხულოს მუნიციპალიტეტის ძმაგულის საჯარო სკოლის დირექტორი მალხაზ მახარაძე. იგი მშობლიური სკოლის ისტორიასა და სამომავლო საქმიანობაზე გვესაუბრება. ასევე იმ პრობლემებზეც საუბრობს, რომელიც, მისი აზრით, დღევანდელ სასკოლო საგანმანათლებლო ცხოვრებაში არსებობს.

მალხაზ მახარაძე — 1993-1999 წწ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1995 წ. ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი ძმაგულის არასრულ საშუალო სკოლაში, 2006 წ. სასკოლო გრანტი ფიზიკაში, 2007 წ. სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძმაგულის საჯარო სკოლის დირექტორი, 2010 წ. სერტიფიცირებული მასწავლებელი მათემატიკაში, 2014 წ. დირექტორთა შესარჩევ კონკურსში გამარჯვებული.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

სოფელ ძმაგულაში პირველად დაწყებითი სკოლა გაიხსნა 1932 წელს, 1971 წელს გადაკეთდა 8-წლიან სკოლად, 1987 წელს არასრულ საშუალო სკოლად, 2005 წელს საჯარო სკოლად, ხოლო 2010 წელს საშუალო სკოლად. ამჟამად სკოლაში 51 მოსწავლე სწავლობს. სულ გვქონდა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა სამი გამოშვება, მათ შორის იყო ორი ვერცხლის მედალოსანი. საშუალო განათლების საატესტატო გამოცდებზე ყოველთვის 100%-იანი შედეგი ფიქსირდებოდა. კურსდამთავრებულთა შორის 70% ჩაირიცხა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის ბევრი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც სწავლობს. ძმაგულის საჯარო სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საგნობრივ ოლიმპიადებში, გვყავს მეორე ტურში გამარჯვებული მოსწავლეები, რომელთაც მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებზე მოპოვებული აქვთ დიპლომები. ხელოვნების მიმართულებითაც გვაქვს მიღწევები, ბოლო სამი წლის განმავლობაში ხატვის სხვადასხვა კონკურსში გაიმარჯვა რამდენიმე მოსწავლემ, ასევე მძლეოსნობასა და მკლავჭიდშიც გვყავს გოგონებსა და ვაჟებს შორის აჭარისა და საქართველოს ჩემპიონები. სკოლაში მუშაობს სასკოლო კლუბები და სპორტული სექციები. მოსწავლეებს აქვთ საშუალება სკოლაში დამატებით მოემზადონ თუნდაც ეროვნული გამოცდებისთვის. სკოლამ 2006 წელს მოიპოვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებული სასკოლო გრანტების პროგრამის ფარგლებში 3000 აშშ დოლარის ღირებულების გრანტი ოპტიკური და ელექტრული ლაბორატორიის შესაქმნელად. სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს დაიდგა თეატრალური წარმოდგენა „დაკარგული მზე“ აჭარის წარსულის შესახებ, რომელმაც მნახველთა შორის დიდი მოწონება დაიმსახურა. სკოლაში ჩამოყალიბდა მოსწავლეებისა და მასწავლებლების ფოლკლორული ანსამბლი სხალთის კულტურის სახლთან ერთად. ამ ანსამბლის შესახებ თურქეთის ტელევიზიამ სპეციალური გადაცემაც კი მოამზადა.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მოწვეული გვყავს უცხო ენისა და მათემატიკის მასწავლებლები. სკოლაში მუშაობს ერთი სერტიფიცირებული, რვა მაგისტრი და ასევე რვა ბაკალავრის ხარისხის მქონე და ერთი სპეციალური განათლების მქონე მასწავლებელი.

ვთვლი, რომ განათლების სისტემაში რეფორმა აუცილებლად უნდა მიმდინარეობდეს და სარგებელი, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის მომავალმა თაობამ უნდა ნახოს. ამისთვის კი ჩვენი საჯარო სკოლები თანამედროვე ქართულ სკოლებად უნდა ჩამოვაყალიბოთ, რომლებშიც აღიზრდებიან თანამედროვე საქართველოს პატრიოტები, განათლებული, მაღალი ტოლერანტობის მქონე ჯანსაღი თაობები. ჩვენი რაიონის სოფლის სკოლები ამ მოთხოვნებს მთლიანობაში ვერ პასუხობენ, ჯერ ერთი, რომ ძალიან ბევრი საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობა და მეტერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, სკოლებში არ არის ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები, ხარისხიანი საკლასო დაფებიც კი ხელმიუწვდომელია ჩვენი ბავშვებისთვის.

გადასახედია სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების საკითხიც, დიდია მათი მოცულობა და მასა, ყურადღებას უფანტავს ბავშვებს სახელმძღვანელოებში არსებული სურათების რაოდენობა.

საჯარო სკოლის მასწავლებლები კვალიფიკაციას ხშირად უნდა იმაღლებდნენ. კარგია როცა სახელმწიფომ თავად აიღო თავზე მათი გადამზადება და შექმნა გადამზადების ცენტრები. მასწავლებელთა სასერთიფიკატო გამოცდებიც კარგია, მაგრამ უკეთესი შედეგის მიღწევა სხვა ხერხებითაც შეიძლება. პატარა სოფლის სკოლებს ნაკლებად გვაქვს საშუალება კონკურსის წესით შევარჩიოთ პედაგოგები, ჩვენ ხშირად პედაგოგები სკოლაში ჩვენივე თხოვნით თუ მიგვყავს, ისიც პირადად უნდა ვიზრუნოთ მათთვის ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. სკოლაში, გარდა ამ პრობლემებისა, თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემამ ხელი შეუშალა და დაბლა დაწია წიგნიერების დონე, გვინდა ჩვენს მიერ შეძენილი ახალი წიგნებითა და სახვადასხვა სახის კონკურსით შევძლოთ წიგნიერების დონის ამაღლება. დღეისათვის ძალზე პრობლემატურია მიგრაციის საკითხი და მისი შეჩერება სოფლის წარმატებულ სკოლას ნამდვილად შეუძლია. ამიტომაც მაღალმთიანი სოფლის სკოლებს სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება სოფელი ნასოფლარი გახდეს.

ამის საშიშროებას ნამდვილად ვხედავთ, თუ 1986 წელს ძმაგულის 8-წლიან სკოლაში 72 მოსწავლე სწავლობდა, დღეს საშუალო სკოლაში 51 მოსწავლეა.

საქართველოს სიამაყე - დედა უნივერსიტეტი

საქართველოში განათლებას ჭეშმარიტად დიდი ტრადიცია აქვს... თექვსმეტი საუკუნის წინ საბერძნეთში სიამაყით აცხადებდნენ: მე განათლება კოლხეთში მივიღეო. დიახ, კოლხეთის, ანუ ფაზისის რიტორიკული სკოლა (აკადემია) განათლების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები სწავლობდნენ. სწორედ აქ მიუღიათ განათლება ბერძენ მოღვაწეებს - ევგენიოსსა და თემისტიოსს და ზემოთ მოყვანილი სიტყვებიც ერთ მათგანს ეკუთვნის. სწავლა-აღზრდის საქმე განსაკუთრებით XI-XII საუკუნეებში დაწინაურდა, მაგრამ ქვეყნის ისტორიული სირთულეებისა და ძნელბედობის გამო იყო პერიოდები, როცა სხვა პრობლემებთან ერთად განათლება და კულტურა მნიშვნელოვან კრიზისს განიცდიდა. საქართველოსთვის მოიცალა ათასი ჯურის გადამთიელმა... საქართველო ჰქონდათ თვალში ამოღებული ჯალალ-ედდინსა და თემურ ლენგს, შაჰ-აბასსა და აღა-მაჰმად-ხანს. არც შინაური აშლილობა და მტრობა აყრიდა ხეირს ქვეყანას. დრო მიდიოდა... ჟამთასვლა თავისას აკეთებდა...

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული თავისი დიდი ოცნება - უნივერსიტეტის დაარსება, ქართველმა ხალხმა XX საუკუნემდე მოიტანა. სწავლა-განათლებისადმი დაუოკებელი სწრაფვა თავისას შვრებოდა და აი, 1918 წლის 26 იანვარს, წმიდა დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელ დღეს, წყნეთის ქუჩაზე №40-ში მდებარე გიმნაზიის შენობაში გაიხსნა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი... და დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს. იგი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი განათლებისა და კულტურის დიდ ტრადიციებზე შეიქმნა - IV საუკუნეში არსებული ფაზისის რიტორიკული სკოლისა და XII საუკუნის გელათისა და იყალთოს აკადემიების მემკვიდრე გახდა...

თბილისის უნივერსიტეტში შექმნილმა ქართულმა მათემატიკურმა სკოლამ ჩვენი ეროვნული მეცნიერება მსოფლიო მეცნიერების ავანგარდში დააყენა, რომელთა შრომებმა და ფუნდამენტურმა შედეგებმა დიდი წვლილი შეიტანა მათემატიკურ მეცნიერებათა განვითარებაში.

ქართველმა სწავლულებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს მათემატიკის მრავალი დარგის განვითარებაზე. პრაქტიკულად არ არსებობს თითქმის არც ერთი მიმართულება, რომელშიც მათ არ შეექმნათ პირველხარისხოვანი და ფუნდამენტური შრომები.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე მათემატიკოსთა აღზრდა-განათლების საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დედა უნივერსიტეტს და თუ ბათუმის მათემატიკური სკოლა დღეისათვის მეორე მათემატიკურ ცენტრად ითვლება საქართველოში, ეს დედა უნივერსიტეტის მათემატიკური სკოლის დამსახურებაა.

მეამაყება, რომ თსუ-ს მათემატიკოსთა სადისერტაციო საბჭოს ხელდასმით შევდგი მეცნიერებაში ფეხი.

ვულოცავ დედა უნივერსიტეტს — ქართული ინტელიგენციის სამჭედლოს, იუბილეს. ვუსურვებ კვლავაც განსაკუთრებული წვლილი შეეტანოს საქართველოს და ქართული სულის გადარჩენა-გაძლიერების საქმეში.

შოთა მახარაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დნმ-ის ტექნოლოგიის გამოყენების შესაძლებლობები უსასრულოა

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს ადამიანის პოპულაციის გენეტიკური კვლევა. რადგანაც გენეტიკური კვლევის უდიდესი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დღეს მცხოვრები ადამიანები ატარებენ იმ გენებს, რომლებსაც ატარებდნენ ჩვენი წინაპრები, ანუ თუ არ ჩავთვლით გენეტიკურ პოლიმორფიზმს ჩვენი გენები მსგავსია ჩვენი წინაპრების გენებისა. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად გამოიყენება ქართულ პრესაში „ქართული გენი“, ბიოლოგები კი მსგავს ტერმინს არ იყენებენ, არ არსებობს გენი, რომელიც აქვს მხოლოდ ქართველს და არ აქვს სხვა ეროვნების ადამიანს. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ გენთა კომპლექსზე, რომელიც ყალიბდებოდა ევოლუციის პროცესში შესაბამის გარემოსთან ადაპტაციის შედეგად.

დნმ ტექნოლოგიების განვითარებამ ახალი შესაძლებლობები მისცა ბიოლოგიურ მეცნიერებას. მისი როლი ძალიან დიდია მოლეკულური მედიცინის განვითარებასა (კერძოდ, გენეტიკური დაავადებების მოლეკულური მექანიზმების შესწავლაში) და ადამიანის ევოლუციის პრობლემური საკითხების გადაჭრაში. დნმ, როგორც სიცოცხლის მოლეკულა, ძალიან მნიშვნელოვანი გენეტიკური ინფორმაციის მატარებელია. მეცნიერთა ვარაუდით, ადამიანს დაახლოებით 30-40 000-მდე გენი აქვს, აქედან ცილის მაკოდირებელია გენომის მხოლოდ 5%, ხოლო დანარჩენი მოდის დნმ-ს ტრანსპოზონის მსგავს უბნებზე.

დღეისათვის, ყველაზე მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს ადამიანის გენომის პროექტი. აღნიშნული პროექტი 1990 წელს დაიწყო და ეს თითქმის დასრულდა 2003 წლისთვის, განისაზღვრა ადამიანის თითოეული ქრომოსომის (22 აუტოსომისა და წყვილი სასქესო ქრომოსომის) დნმ-ის უდიდესი ნაწილის ნუკლეოტიდური თანმიმდევრობა. დღეს უკვე გვაქვს ადამიანის მთელი გენომის რუკა. მეცნიერები ადამიანის გენომის კარტირების პარალელურად ამ პროექტის ფარგლებში მუშაობენ სხვა სახეობების გენომებზეც.

ადამიანის კარიოტიპი

ერიკ ლენდერმა უდიდესი როლი ითამაშა ადამიანის გენომის პროექტის განხორციელებაში. მან გენომიკა (მეცნიერება ორგანიზმში არსებული ყველა გენისა და მათი ერთობლივი ფუნქციონირების შესახებ) გამოიყენა დაავადებების განვითარების მოლეკულური მექანიზმების დასადგენად და მკურნალობის ახალი მეთოდების დასანერგავად. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იაპონიის და ჩინეთის 20 სამეცნიერო ცენტრის რამდენიმე ათასი ადამიანი. ადამიანის გენომის პროექტი წარმოადგენს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით პროექტს. მეცნიერები აქტიურად მუშაობენ დაავადების გამომწვევი პოტენციური გენების იდენტიფიკაციაზე.

ადამიანის დნმ-ს სრული თანმიმდევრობების გაშიფრვამ შესაძლებელი გახადა სხვადასხვა გენის მოქმედების მექანიზმების (კერძოდ, მათი ჩართვისა და გამორთვის) გაგება და მანამდე უცნობი ბიოლოგიური მექანიზმების ახსნა. სწორედ ადამიანის გენომის პროექტის უდიდესი მიღწევა იყო გენეტიკური რუკების საშუალებით მემკვიდრეობით მიღებული დაავადებების კვალის დადგენა, მათი მკურნალობის მეთოდების გაუმჯობესება და პრევენცია. ადამიანის დნმ-ს თანმიმდევრობების შესწავლა შეიძლება გამოვიყენოთ მრავალი დაავადების გენეტიკური მექანიზმის ასახსნელად. კერძოდ, განვსაზღვროთ სპეციფიკური ვირუსების გენოტიპი, აღმოვაჩინოთ ონკოგენები, გავიგოთ მუტაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის სიმსივნის გამოვლენისა და განვითარების მოლეკულური მექანიზმები. ადამიანის გენომის პროექტის ერთ-ერთ დანიშნულებას წარმოადგენს მემკვიდრული დაავადებების განვითარების გენეტიკური მექანიზმების შესწავლა. კერძოდ, დაავადების ადრეული დიაგნოსტირებისა და მკურნალობის ახალი მეთოდების ძიებისათვის საჭირო მასალების შეგროვება. ამდენად, გენომის ნუკლეოტიდური თანმიმდევრობების გაშიფრვით ნათელი გახდა მანამდე უცნობი პროცესების მოლეკულური მექანიზმების ახსნა. გენომის ნუკლეოტიდური თანამიმდევრობების გაშიფრვამ ხელი შეუწყო გენომიკის განვითარებას, რომელმაც შესაძლებელი გახადა ამა თუ იმ სახეობის გენომის ორგანიზაციის, გენთა ექსპრესიის



რეგულაციის, ზრდისა და განვითარების, ასევე ევოლუციის შესახებ არსებული ფუნდამენტური საკითხების ღრმა მეცნიერული გააზრება.

დნმ-ის ტექნოლოგიის ერთ-ერთი მიღწევაა წარმოადგენს ადამიანის იმ გენების იდენტიფიკაცია, რომელთა მუტაციის შემდეგ აღინიშნება გენეტიკური დაავადებების განვითარება. დნმ-ის ტექნოლოგიების სრულყოფამ თავისი წვლილი შეიტანა „არაგენეტიკური“ დაავადებების მექანიზმების შესწავლაშიც. ყველა ტიპის დაავადება მოლეკულურ დონეზე მაინც დაკავშირებულია გენთა ექსპრესიის ცვლილებებთან, რომელიც მიმდინარეობს დაავადებაში ჩართულ უჯრედებში. მოლეკულურ დონეზე მიმდინარე მექანიზმების შესწავლა კი ხელს უწყობს მკურნალობის ახალი გზების ძიებას (კერძოდ, ფსიქიკური დაავადებები, დიაბეტი, კიბო და სხვა მრავალი დაავადება).

ბიოინფორმატიკის განვითარების წყალობით, ადამიანის დნმ-ის ნუკლეოტიდური თანმიმდევრობები ინახება კომპიუტერის მონაცემთა ბაზაში და ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომია ყველა მეცნიერისათვის. შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით შესაძლებელია უცნობი ცილის მაკოდირებელი გენების იდენტიფიკაცია. გენომიკისა და პროტეომიკის განვითარება საშუალებას იძლევა საფუძვლიანად შევისწავლოთ სიცოცხლე. დღეს ბიოლოგები ყველა იმ გენებისა და ცილის კატალოგს ადგენენ რომლებიც მონაწილეობენ უჯრედების, ქსოვილებისა და ორგანიზმების ფუნქციონირებაში. შესაბამისი გამოკვლევების შედეგად გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც გენომში წარმოდგენილი არამაკოდირებელი გენები შესაძლოა მონაწილეობდეს უჯრედის რეგულატორულ მექანიზმებში. უზარმაზარი მოცულობის გენეტიკური მონაცემების კომპიუტერულად და მათემატიკურად დამუშავებისა და ინტეგრირების შედეგად, მეცნიერებს მრავალი კომბინაციის აღმოჩენა და რაოდენობრივი განსაზღვრა შეუძლიათ.

შესაძლებელი გახდა გენეტიკური ვარიაციების სპექტრის შესწავლა ადამიანებში, რადგანაც ადამიანის, როგორც ბიოლოგიური სახეობის ისტორია ხანმოკლეა ადამიანებს შორის დნმ-ის ვარიაციების რიცხვი საკმაოდ მცირეა სხვა სახეობასთან შედარებით. დნმ-ს თანმიმდევრობების განსაზღვრა მნიშვნელოვანია ევოლუციური კავშირების დასადგენად. კერძოდ, გენომიკის მონაცემებმა შეცვალა ევოლუციაზე მანამდე არსებული შეხედულებები. ძალიან საინტერესოა ადამიანის დნმ-ს ნუკლეოტიდური თანმიმდევრობების შედარება სხვა მონათესავე სახეობების ანალოგიურ თანმიმდევრობებთან.

ადამიანის გენეტიკური მრავალფეროვნება შესაძლოა განპირობებულია ცალკეული ნუკლეოტიდების პოლიმორფიზმით (SNP). შესაბამისი გამოკვლევებით ნაჩვენებია, რომ ადამიანის გენომში, SNP წარმოიქმნება დაახლოებით ერთხელ 1 000 წყვილ ფუძეში. ანუ ჩვენი საკუთარი დნმ-ის თანმიმდევრობა რომ შევადაროთ სამყაროს მეორე ბოლოში მცხოვრები იმავე სქესის ნებისმიერი ადამიანის ანალოგიურ თანმიმდევრობას, მათი დაახლოებით 99.9% იდენტური იქნება. დღეს, აქტიური კვლევისა და განსჯის საგანია ადამიანის გენომში არსებული მილიონობით SNP საიტი. აღნიშნული გენეტიკური მარკერების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია ადამიანის ევოლუციის თვალსაზრისით, ასევე ადამიანთა პოპულაციებს შორის არსებული განსხვავების დასადგენად. აღნიშნული კვლევების დახმარებით შესაძლებელია განისაზღვროს ადამიანთა პოპულაციების მიგრაციული მარშუტი ცოცხალი სამყაროს ევოლუციის პროცესში.

პოლიმორფიზმის შესწავლა დნმ-ში, ასევემ წინგადადგმული ნაბიჯია ამა თუ იმ დაავადების გამომწვევი გენების იდენტიფიკაციისთვის. დნმ-ის კვლევებისა და დნმ ტექნოლოგიის გამოყენებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მედიცინაზე, ასევე მეცნიერების სხვადასხვა დარგზე. თითქმის ყოველდღე ვკითხულობთ ახალ სტატიებს დნმ-ის ტექნოლოგიებთან დაკავშირებით. სტატიების უმეტესობა კი დაკავშირებულია ახალ პერსპექტივებთან მედიცინაში, გენურ ინჟინერიაში, სოფლის მეურნეობაში, კრიმინალისტიკაში.

დღეს ძალიან აქტიურად მიმდინარეობს პოპულაციების კვლევა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. პოპულაციების კვლევასთან დაკავშირებით საინტერესოა ქართველი მეცნიერის, ანთროპოლოგისა და გენეტიკოსის - ივანე ნასიძის კვლევები. იგი ამ სფეროში ერთ-ერთი ციტირებადი ქართველი მეცნიერია, მუშაობდა გერმანიაში, მაქს პლანკის ინსტიტუტში, ევოლუციური გენეტიკის მიმართულებით. მაქს პლანკის ინსტიტუტი ახორციელებს გენეტიკურ კვლევებს ადამიანის კვალის დასადგენად. ჩვენთვის საამაყოა, რომ მისი კვლევის ძირითადი სპექტრი იყო კავკასიის ხალხთა გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლა. კერძოდ, ის სწავლობდა G2a და J2a ჰაპლოჯგუფების გავრცელებას საქართველოში. როგორც ივ. ნასიძის კვლევებიდან ჩანს, საქართველოს დღევანდელ გენოფონდში დომინანტურია G2a და ჟ2ა ჰაპლოჯგუფები. თუმცა G2a ჰაპლოჯგუფის სიხშირე მაღალია J2a-თან შედარებით. კვლევების მიხედვით, უმეტესი ევროპელი ეკუთვნის G2a ჰაპლოჯგუფს.

შესწავლილია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა. Y-დნმ შეგროვებულ იქნა 1206 მამაკაციდან, რომლებიც წარმოადგენდნენ 17 პოპულაციას (უმეტესად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან). მათ შორის 66 მამაკაცი იყო ქართველი. როგორც გამოკვლევებმა უჩვენა, ქართულ გენოფონდში ყველაზე მაღალი სიხშირითაა გავრცელებული Y-დნმ-ს შემდეგი ჰაპლოჯგუფები: G2a-30.3%, J2a1b-15.2 %, J2 -10.6% R1a1- 10.6%, R1b1b2 - 9.1% (Batteglia V. et al. 2009). სხვა კვლევის მიხედვით, ქართველების 34.8% ატარებს G-Y-დნმ-ს (ქართველების 34.8% აღმოჩნდა G-P16 ქვეჯგუფში) (Rootsi S. et al., 2012).

მეცნიერთა მიერ გამოკვლეულია მიტოქონდრიული დნმ და Y ქრომოსომის ვარიაციები კავკასიაში. ძირითადად შესწავლილია კავკასიის მთიანი რეგიონი. კერძოდ, შესასწავლად აღებულ იქნა 57 ქართველი მამაკაცის მიტოქონდრიული დნმ და 77 ქართველის - Y-დნმ. მიტოქონდრიული დნმ-ს ჰაპლოტიპებიდან, ქართველი მამაკაცებისათვის დამახასიათებელი აღმოჩნდა 40 სხვადასხვა ჰაპლოტიპი, ხოლო Y დნმ-ს ჰაპლოჯგუფების მიხედვით კი ქართველი მამაკაცების 31%-ისათვის დამახასიათებელი აღმოჩნდა ჰაპლოჯგუფი - G, ხოლო 21%-ის კი - J2 (Nasidze I. et al., 2004).

გენეტიკური მარკერების გამოყენება მნიშვნელოვანია პოპულაციების გენოფონდის თავისებურებების შესასწავლად. გენეტიკური ანალიზის დახმარებით (გენის სეკვენირების წყალობით) შესაძლებელია გენეტიკოსებმა ისტორიკოსებს მიაწოდონ ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია ადამიანის სხვადასხვა პოპულაციის წარმოშობის შესახებ. გენეტიკას შეუძლია პასუხი გასცეს მრავალ საინტერესო კითხვას, რა თქმა უნდა, საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე.

მრავალი ქვეყნის მეცნიერის ინტერესების სფეროს წარმოადგენს კავკასიის ხალხთა გენეტიკური შესწავლა. მიზეზი ძალიან მარტივია, როგორც გამოკვლევებმა ცხადყო კავკასია ხასიათდება განსხვავებული გენეტიკური მრავალფეროვნებით. თუმცა, არსებული კვლევების საფუძველზე ჯერჯერობით ძნელია რაიმე დასკვნის გაკეთება. ფაქტია, რომ კავკასია გენეტიკური კვლევის თვალსაზრისით აქტიური განსჯისა და დისკუსიის საგანია. ამიტომაც აუცილებელია ჩვენი გენოფონდის საფუძვლიანი შესწავლა.

დ. ბარათაშვილი,
ბიოლოგიის დეპარტამენტის
სრული პროფესორი
ი. ნაკაშიძე,
ბიოლოგიის დოქტორი

წერილები წარსულიდან

„მე ყოველთვის მზად ვიყავი ჩემი მხარისათვის, სამშობლოსათვის სიცოცხლე შემეწირა. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ვცდილობდი, რაიმე სასარგებლო გამეკეთებინა ხალხისათვის“

ჯემალ ნოღაიდელი

1958 წელს დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მისი დაარსების ერთ—ერთი ინიციატორთაგანი იყო ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ჯემალ ნოღაიდელი, რომელმაც თავისი საქმიანობით და დაუღალავი შრომით ღირსეული წვლილი შეიტანა ქართველოლოგიის განვითარებაში.

1928 წელს ჯემალ ნოღაიდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტი გახდა. მეცნიერულ მუშაობაში მისი ჩაბმის მთავარი საბაბი ივანე ჯავახიშვილი იყო. მისი მეშვეობით გაიცნო ჯერ კიდევ სტუდენტი ჯ.ნოღაიდელი 1929 წელს საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებამ მოხსენებით „ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან“, რომელიც მან წაიკითხა ისტორიულ-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე. საბოლოო სიტყვაში ივ.ჯავახიშვილმა შეაქო ნაშრომი და იქვე გადაწყდა მისი დაბეჭდვა.

ჯ.ნოღაიდელი იგონებს: „მას შემდეგ ივ. ჯავახიშვილთან კავშირი არ გამიწყვეტია. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე (1931 წ.) ბათუმში დავბრუნდი და აჭარის ეთნოგრაფიის საფუძვლიან შესწავლას შევუდექი. 1935 წელს ივანე ჯავახიშვილს ჩემი ძმის — ალ. ნოღაიდელის ხელით პატარა ნარკვევი გავუგზავნე „გვაროვნული წყობის გადმონაშთები აჭარაში“ და ვთხოვდი, რომ შენიშვნები მოეცა. ამასთან დაკავშირებით დიდმა მეცნიერმა ბარათი მომწერა, რომელსაც აქვე გაგაცნობთ:

„ტფილისი, 1935.9.VII.

დიდად პატივცემულო
ბატონო ჯემალ!

თქვენმა ძმამ თქვენი ნაშრომი გადმომცა, რომელშიც თქვენი ბარათიც იყო. მაშინ ჩემი ქალიშვილი იყო ძალიან მძიმე ავადმყოფი და ვთხოვე, რომ სამი კვირის შემდეგ შემოევლო პასუხისათვის, მაგრამ მხოლოდ გუშინ შემოიარა და მას ვატან როგორც თქვენს ნაშრომს, ისევე ამ ჩემს წერილსაც. თქვენი ნაშრომი საინტერესოა და საგულისხმო საკითხს ეხება. იქ ბევრი საყურადღებო რამ შეგიკრებიათ. ჩემი აზრით, თქვენ მიერ დასახული მიზნის მისაღწევად და თქვენს ნაშრომს რომ ყოველმხრივი ღირებულება ჰქონდეს, კიდევ დამატებითი ცნობების შეკრებაა საჭირო და ზოგიერთი საკითხის გამორკვევაც არის აუცილებელი.

გვაროვნული წეს—წყობილების ნაშთის შესახებ ცნობები თქვენ უმეტესად თქვენივე საკუთარი სიტყვებით გაქვთ მოთხრობილი. ამიტომ აქ ნახმარია თანამედროვე ტერმინები და გამონათქვამები: შეკითხვა, ანგარიში, არჩევა, გადაყენება, ორგანიზატორი, პოსტი და სხვა. **აჭარული გვაროვნული წეს—წყობილების ვითარების გასათვალისწინებლად კი აუცილებლად საჭიროა, რომ ვიცოდეთ, თუ თვითონ ხალხი ყოველივე ამ ცნების აღსანიშნავად რა სიტყვებსა და გამონათქვამებს ხმარობს**. ამისათვის სხვადასხვა ზნე-ჩვეულების შესახებ მცოდნე მოხუცებულებს უნდა აამბობინოთ და მათი მონათხრობი სიტყვა-სიტყვით ჩასწეროთ. რაც უფრო მეტი გექნებათ ასეთი ჩანაწერები და სხვადასხვა ადგილას შეკრებილი, მით უფრო უხვი და მრავალმხრივი ცნობებისა და ტერმინების მქონებელი გახდებით. ზოგან თურქული ტერმინი შეგხვდებათ, ზოგან მის მაგიერ ძველ ქართულ ტერმინს გაიგონებთ. **გვაროვნული წეს—წყობილების ნაშთს, ვითარცა უძველესი სოციალური დანაწევრების ანარეკლს, უეჭველია, ქართული ტერმინოლოგია და სახელები უნდა ჰქონოდა, თქვენ ცნობებში კი, როგორც თქვენც აქა—იქ აღნიშნული გაქვთ, თურქული ტერმინოლოგიაა. ცხადია, ეს მერმინდელი მოვლენაა, ამიტომ წინანდელი ქართული სახელების მოძებნა-გამორკვევაა საჭირო. ცნობების სიტყვა—სიტყვითი ჩანაწერები აჭარის სხვადასხვა ადგილას ამის საშუალებას მოგცემდათ**. მარტო ზემო აჭარით ნუ განსაზღვრავთ თქვენი დაკვირვების ასპარეზს: ზოგჯერ ქვემო აჭარაშიც იპოვით ფრიად საყურადღებო ცნობებს. როცა ამნაირად მასალებს შეაგროვებთ, მაშინ საბოლოოდ მოვილაპარაკოთ თქვენი ნაშრომის გეგმის შესახებაც.

ეხლა შინა—მრეწველობისა და წვრილი ხელოვნობის ისტორიის მასალების შეგროვებაზეც: თქვენ ძმას თქვენთვის გადმოსაცემად მივეცი დაბეჭდილი ფურცელი და **პროგრამისა და ინსტრუქციის შინაარსი გეცოდინებათ. ქალთა შორის ცნობების შესაკრებად** ჯერ რ. ხარაძე მინდოდა, მაგრამ ის სვანეთში მიემგზავრება. ამიტომ მის მაგიერ ქართული ენციკლოპედიის მდივანი **თამარ ანდღულაძე ავირჩიე,** რომელსაც აჭარაში უმოგზაურნია და იქ ნაცნობიც ჰყავს. **დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ყოველნაირად ხელს შეუწყობთ აჭარელ ქალთა შორის ცნობების შეკრების გასაადვილებლად. შეკრებილი ცნობები უნდა ენკენისთვის დამლევისათვის ჩამბაროთ. . .** იმედი მაქვს, რომ უხვსა და საინტერესო ცნობებს შეჰკრებთ. გისურვებთ ყოველგვარ ბედნიერებასა და წარმატებას — თქვენი კეთილმოსურნე

ივ. ჯავახიშვილი

P.S. გთხოვთ თქვენი მუშაობის მიმდინარეობაზე დროდადრო მაცნობოთ ხოლმე.

ტფილისი, კალინინის ქ. # 66“.

პროგრამის, ინსტრუქციისა და ფულის მიღებისთანავე შევადგინე ექსპედიცია, რომელშიც შედიოდა ხუთი კაცი და ფოტოგრაფთან ერთად მასალების შესაგროვებლად და სურათების გადასაღებად გავემგზავრე ზემო აჭარაში. მასალები თავის დროზე გადავუგზავნეთ ივანე ჯავახიშვილს, მაგრამ მისი დამუშავება და გამოყენება აღარ დასცალდა. 1935 წელს დაბეჭდილი ჩემი „ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან“ სათანადო წარწერით მივუძღვენი ივ. ჯავახიშვილს. ეს იყო 1935 წლის აგვისტოში. 1935 წლის 16 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილისაგან ისევ მივიღე წერილი.

„ტფილისი, 1935 წ. 16.X.

დიდად პატივცემულო
ბატონო ჯემალ!

მეტისმეტმა მოუცლელობამ საშუალება არ მომცა აქამდის წერილი მომეწერა და მადლობა გადამეხადა თქვენი წიგნისათვის. ინტერესით და სიამოვნებით გადავიკითხე და ზოგი რამე ჩემთვის გამოსადეგი ცნობებიც შემხვდა იქ.

თქვენი ნაშრომიდან ჩანს, რომ ნიჭიც გაქვთ და დაკვირვების უნარიც გეტყობათ. უფრო გაღრმავებული და ხანგრძლივი შესწავლა შემდეგში უფრო მეტს შეგძენთ. მხოლოდ უნდა ეცადოთ ეხლავე, ამ ორიოდე წლის განმავლობაში, მოახერხოთ ეთნოგრაფიული ცნობების შეგროვება, სანამ მოხუცებულები კიდევ ცოცხლები არიან და ცხოვრებაც ჯერ მთლად შეცვლილი არ არის. ეცადეთ, რომ რაც შეიძლება, მეტი ჩასწეროთ მოხუცთა ნაამბობი ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის პირველი დარგის შესახებ და ნელიწადის სხვადასხვა დროსა და დღესასწაულებთან დაკავშირებულ ზნე-ჩვეულებებზე. თქვენს ნაშრომში მე-18 გვერდზე ხმების სახელებია მოყვანილი, მაგრამ ჩანს, **ბანის** სახელის მოხსენება გამოგრჩენიათ. ამას გარდა, გთხოვთ მაცნობოთ, **მთქმელი** რატომ ეწოდება, რის მთქმელია, სიტყვებისა, თუ ხმის და სახელდობრ რომელი ხმის, წვრილის, მომძახნელზე უფრო წვრილის თუ არა? **მომძახნელი** რატომ ჰქვიან ამ ხმას, რას მოსძახის? შემდეგ, **გამყინავი** იგივე მოკრიმანჭულეა თუ არა? **ბანს,** როგორც ჩანს, 4 კაცი ამბობს, მაგრამ ერთნაირად ყველა, თუ ბანი ორნაირადაც ითქმის? ამის განმარტება ხალხური სიმღერის ხნიერს მცოდნეებს გამოჰკითხეთ და სიტყვა—სიტყვით ჩამიწერეთ და თქვენი განმარტებითურთ გადმომიგზავნეთ, დიდი მადლობელი ვიქნები. მარად თქვენი კეთილის მონატრული

ივ. ჯავახიშვილი“.

ამ წერილის მიღების შემდეგ დიდი დრო არ გასულა და მე ივ. ჯავახიშვილს პასუხი მივწერე, რომელიც მან, სათანადო მითითებით, თავის წიგნში გამოიყენა.“

დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ მეცნიერებაში გზადალოცვილი ჯ.ნოღაიდელი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბათუმში დაბრუნდა და მუშაობაში ჩაეფლო. ბათუმში მყოფს ერთი წუთითაც არ გაუწყვეტია კავშირი თავის მასწავლებლებსა და მეგობრებთან. აცნობდა მათ თავისი საქმიანობის გეგმებს, ახალ ნაშრომებს და მათგანაც სათანადო, გულისხმიერ რჩევებს იღებდა. ამის დასტურია ჯ.ნოღაიდელის პირად არქივში დაცული მრავალი ვრცელი წერილი თუ მოკლე ბარათი. წერილების ავტორები არიან: აკაკი შანიძე, სიმონ ჯანაშია, მაკარ ხუბუა, ვარლამ თოფურია, სერგი მაკალათია, შალვა დადიანი, ალექსანდრე ღლონტი, არჩილ ჩხარტიშვილი, მიხეილ ჩიქოვანი, მიხეილ ზანდუკელი, ილია მაისურაძე, სიმონ შავიშვილი, სტეფანე ნიკოლაიშვილი, ელენე ვირსალაძე, დავით ჯავრიშვილი და სხვ. ჩამოთვლილ პიროვნებათა ინტერესების გათვალისწინებით ადვილად შეიძლება განვსაზღვროთ ჯ.ნოღაიდელის მოღვაწეობის ფართო და მრავალასპექტიანი არეალი.

ჯ. ნოღაიდელის წერილების საპასუხოდ გამოგზავნილ მრავალ ბარათთან ერთად, დაცულია, ასევე, მისთვის გამოგზავნილი ის წერილები, რომლებზეც მას უნდა ეპასუხა. ბარათები დათარიღებულია 1932 წლიდან. მათში კარგად ჩანს, თუ რამდენად სჯეროდათ მისი, რა ავტორიტეტი ჰქონდა და... უბრალოდ, ეიმედებოდათ, რომ იგი იყო ბათუმში და ყოველთვის შეიძლებოდა, მიეღოთ მისგან მეცნიერულად დასაბუთებული საიმედო ცნობები აჭარის სამეცნიერო ცხოვრებისა თუ სხვა საკითხების შესახებ.

1933 წელს ლენინგრადში მყოფი მეცნიერის იოსებ მეგრელიძის მიერ გამოგზავნილ წერილში (19.02.1933) ვკითხულობთ: „მეტისმეტად მჭირდება რამდენიმე ცნობა აჭარისტანზე, რადგან მოითხოვეს აქ კრებულისათვის Народы СССР, საძიებლის ხასიათის. მოიწერე, რა ხასიათის და დაახლოებით რამდენი მასალები გაქვს ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ხასიათის. დაბეჭდილს გარდა, უნდა ვუჩვენო დაუბეჭდელიც, ვის რა გაუკეთებია... მე რომ ცნობები მჭირდება, იგი 20 თებერვლამდე აუცილებლად

უნდა მქონდეს“... შემდეგ, წერილში, რვეულის სამ ფურცელზე — 6 გვერდზე ჩამოთვლილია კითხვები. მაგ.: აჭარლები თავისთავს „აჭარელს“ გარდა უწოდებენ თუ არა სხვა სახელს. ნაციონალური შემეცნება როგორია. აჭარელი ვარო,—იტყვიან, თუ ქართველი, ან რას დაუმატებენ: ქართველი მაჰმადიანი თუ მუსულმანი. ორიენტაცია ამ მხრივ უფრო საქართველოსკენ აქვთ თუ თურქეთისაკენ... და ა.შ. ამას მოსდევს კიდევ კითხვები აჭარის ტერიტორიისა და მისი დარაიონების, აჭარელთა რაოდენობის, საქმიანობის, წეს-ჩვეულებების, ხალხური შემოქმედების, ქალთა უფლებების, რელიგიის, აჭარაში არსებული ძველი რელიგიური ნაგებობების, პრესის, გამოცემების, განათლების და სხვათა და სხვათა შესახებ. მათზე პასუხი დიდ პოლიტიკურ მომზადებას მოითხოვდა და, ადვილი მისახვედრია, რა უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა ჩატარებულიყო ეს სამუშაო. ეს ბატონი იოსების ამ წერილის ბოლო ნაწილიდანაც ჩანს: „შენ იცი, რომ მე აჭარაში სხვა კაციც მეშოვება... მაგრამ ამ შემთხვევაში შენზე უფრო ავტორიტეტი არ მყავს მანდ და შენ მოგმართე. იმედი მაქვს შეასრულებ“.

დავალება, რასაკვირველია, შესრულდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საპასუხო წერილი არ შემონახულა.

1934 წლითაა დათარიღებული ჯ.ნოღაიდელისადმი ციხისძირიდან გამოგზავნილი დიდი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის სიმონ ჯანაშიას წერილი, რომელიც ციხისძირის ციხეს ეხება. „ძვირფასო ჯემალ!“ — წერს ბ-ნი ს.ჯანაშია. ტრადიციული მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ კი წერილში ვკითხულობთ: „ციხისძირის ციხეს ქართულად ეძახდნენ „ქაჯთაციხეს“. იხ. ვახუშტის გეოგრაფია. მას დიდი ხანია ყურადღებას აქცევდნენ. ა.წ. ივნისში მეც უნივერსიტეტში წავიკითხე მოხსენება. ვამტკიცებ, რომ ეს ნაშთია განთქმულის ციხე-ქალაქის „პეტრასი“, რომელიც ააშენა ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ VI ს. და იმ დროს დიდი როლი ითამაშა დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში. მე ეხლა აქ სპეციალურად დეტალურად შევისწავლე ეს ნაშთი და დავრწმუნდი, რომ ეს მოსაზრება მართალია. ძალიან საინტერესო ნაშთია. არ შეიძლება ნება მიეცეს ჩამონგრეული ნაწილების დაშლისა, რადგანაც იმათაც მნიშვნელობა აქვს ციხის პირვანდელი სახის რეკონსტრუქციისათვის. სამწუხაროდ, ეს დღეები სულ წვიმდა აქ და მე საშუალება არ მქონდა იქაური სამუშაოების უფროსი მენახა. წინათ რამდენიმეჯერ ვიკითხე და სულ ბათუმშიაო,—მეუბნებოდნენ. ამ ძეგლის საკითხს მე ტფილისში დავაყენებ, მაგრამ თქვენც მანდ მიაქცევინეთ ყურადღება. მე მგონია, ლიმმანტრესტი იქ სათბურების გაკეთებას აპირობს. ამას ნებართვა არ შეიძლება, თუ წინასწარ არ მოხდა შეთანხმება ყველა პირობის დაცვის შესახებ ძეგლის უზრუნველსაყოფად. . .

თქვენი ს. ჯანაშია. 1934 წ. ციხისძირი“.

ჯ. ნოღაიდელის მეცნიერული მოღვაწეობით დიდად იყვნენ დაინტერესებულნი მისი პროფესორები და მეგობრები. ახარებდათ მისი წარმატებები, აფასებდნენ მის ღვაწლს. „ეთნოგრაფიული ნარკვევების...“ (1935 წ.) შემდეგ გამოიცა მისი ორი ნაშრომი: „აჭარა დიალექტოლოგიურად“ და „აჭარის ხალხური სიტყვიერება, I“.

ამ ფაქტით გახარებული მეგობარი, პროფ. ალექსანდრე ღლონტი ლენინგრადიდან წერდა:

„სალამი ჯემალ!

ახმედმა შენი ორი წიგნი ერთად მიიღო. თავაზიანად გადმომცა და გულდასმითაც გადავიკითხე. მთელი ჩემი ენერგიით გილოცავ ამ სასახელო ნაბიჯებს. ჯერ კიდევ შენი პირველი წიგნი „ეთნოგრაფიული ნარკვევი“ არაჩვეულებრივი სიზუსტით იყო შესრულებული. მე ის წიგნი ტფილისში ვერ ვიშოვე, მაგრამ, როცა მოსკოვში ვიყავი, იქ აღმოვაჩინე და მაშინვე შევიძინე.

შენ უკან ჩამოიტოვე შენი ყველა ამხანაგი. სამი წიგნის გამოცემა რაღაც სამიოდე წლის განმავლობაში, უსათუოდ, სასიხარულო გამარჯვებაა. განსაკუთრებით ჩვენთვის, ლინგვისტებისათვის, დაუფასებელია ისინი. ღრმა იმედი მაქვს, რომ ასეთი წიგნებით კიდევ გაამდიდრებ ქართველოლოგიის ჯერ კიდევ ასე მცირე კატალოგს.

ერთხელ კიდევ ჩემი სალამი და საუკეთესო სურვილები. გისურვებ მორიგ გამარჯვებებს.

გულითადი სალამით ა. ღლონტი
ლენინგრადი, 6.IV. 36.“

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

წერილები წარსულიდან

(დასაწყისი მე-7 გვერდზე)

ასეთივე სითბოთი და წინსვლის სურვილითაა გამოგზავნილი ლენინგრადიდან პროფესორ მიხეილ ჩიქოვანის წერილიც.

„სალამი ჯემალ!

რამდენიმე დღის წინად ახმედმა ორი მშვენიერი წიგნი მიიღო, რომლებმაც მე ისე გამახარა, როგორც თქვენი ძმა ახმედი და სპეციალურად ამ საქმის მოინტერესე! ქართული დიალექტები, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელუხლებელი, გაუტეხავი ყამირია ჯერჯერობით. ასევე ითქმებოდა აქამდე აჭარულზედაც, მაგრამ ახლა მდგომარეობა უკვე გამოიცვალა. ლინგვისტური აჭარა უფროდაუფრო გვიახლოვდება და ცნობილი ხდება ჩვენთვის. ამ საქმეში შენი სამი წიგნი ანი და ჰოეა. პირველი წიგნი ამ ზაფხულზე შევიძინე ქუთაისში, როცა ლენინგრადიდან ლეჩხუმში მივემგზავრებოდი რაჭის გზით, ამ ორმაც კი აქ ჩამომისწრო. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ ამით აჭარის შესწავლა მეცნიერულ გზაზე შედგა და სულ მალე ალბათ სრული სახით წარმოგვიდგება. . .

ნახვამდის, ჯემალ
გართმევ ხელს, მ. ჩიქოვანი“.
6. IV. 36. ლენინგრადი

ჯ. ნოღაიდელი აჭარის კულტურულ—ლიტერატურულ ცხოვრებაშიც აქტიურად იყო ჩაბმული. იგი წერდა და აქვეყნებდა ლექსებს, ნარკვევებს, პიესებს. იყო ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალების ერთ—ერთი ავტორი და მასობრივი კულტურული ღონისძიებების სულისჩამდგმელი. მონაწილეობდა ბათუმის დრამატული თეატრის დასში. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მწერლებთან. შემონახულია დიდი ქართველი მწერლის შალვა დადიანის მოკლე, მაგრამ სითბოთი და სიყვარულით სავსე საქმიანი წერილი (26.VII. 1936 წ.), რომლიდანაც ვიგებთ რომ შალვა დადიანს განზრახული ჰქონდა, დაეწერა პიესა აჭარის წარსული ისტორიის შესახებ და ამისათვის სპეციალურად წაუკითხავს ჯ. ნოღაიდელის ხელნაწერი ნაშრომი „გვაროვნული წყობის გადმონაშთები ზემო აჭარაში“. ბ—ნი შალვა დადიანი წერს:

„პატივცემულო ჯემალ!

გიბრუნებთ დიდის მადლობით თქვენს ხელთნაწერს: „გვაროვნული წყობის გადმონაშთები ზემო აჭარაში“. თქვენი დახმარება კიდევ დამჭირდება უთუოდ, რომ პიესა ისეთი გამოვიდეს, თქვენ რომ მისურვეთ, მხოლოდ თქვენ... ბევრს „თხოულობთ“... და ძნელ მოვალეობას მაკისრებთ. ერთი კია: პიესა დაწერილი იქნება სიყვარულით და ჩემს მაქსიმუმს უსათუოდ მივიტან...

იმედი მაქვს, რომ ამ ზამთარს ბათომს კიდევ გინახულოთ და მაშინ კიდევ ერთხელ „მოვიუბნოთ“ პიესაზეც.

სალამი. შალვა დადიანი
26.VII. 1936“

1937 წლის 1 მარტითაა დათარიღებული დიდი ქართველის, ბ-ნ აკაკი შანიძის წერილი, რომელიც, როგორც ჩანს, პასუხია ჯემალ ნოღაიდელის თხოვნაზე, გააცნოს ფოლკლორული კრებულის შედგენის წესები. ეს ბარათი საპროგრამოდ, სახელმძღვანელოდ შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც აქ მოტანილ წესებს მეცნიერული ნაშრომის გამოცემის შესახებ, ახლაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ბ—ნი აკაკი წერს:

„ჩემო ჯემალ,

მაპატიეთ, რომ აქამომდე პასუხი ვერ მოგწერეთ... ძალიან კარგი საქმე გიკისრიათ. რამდენადაც შემიძლია, დაგეხმარებით“...

... და წერილში მოცემულია გულისხმიერი რჩევები აღმზრდელისა და უფროსი მეგობრისა, როგორ შედგეს ფოლკლორული მასალების კრებული:

„1. მასალის დალაგების სქემა, რომელიც თქვენ განზრახული გქონიათ (ზღაპრები, არაკები, ლექსები, შელოცვები, ანდაზები და გამოცანები), შეიძლება დარჩეს.

2. ლექსები შეიძლება იყოს როგორც ძველი, ისე ახალი (გასაბჭოების შემდეგ წარმოშობილი)

3. თვითეულ განყოფილებაში, რამდენადაც შესაძლებელია, დაიცავით თემატურად დაყოფა. არა და, არა უშავს.

4. უჩვენეთ ყოველთვის, თუ ვისგან, სად და როდის არის ჩაწერილი (I წიგნში თქვენ არ გაქვთ ნაჩვენები, თუ როდის არის ჩაწერილი). ამას გარდა აღნიშნეთ, იცის თუ არა მთქმელმა წერა—კითხვა, ვის მიეწერება ლექსი (თუ ავტორი იციან), რა ხნისა იყო ჩაწერის დროს და სხვ.

5. გამოცანებს იქვე მიუწერთ ახსნას, ძირს ჩაიტანთ შენიშვნებში, თუ სხვაგან, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. საჭირო კია ახსნის მოყვანა.

6. შენიშვნები (კომენტარიები) ბოლოს დაურთეთ. აი, იქ აღნიშნეთ ყოველგვარი ცნობა, რაც კი გინდათ, ზღაპრის, ლექსის თუ სხვა მასალის შესახებ. ამ მხრივ იხელმძღვანელეთ ჩემი ხალხური პოეზიის ბოლოს დართული შენიშვნებით.

7. სამწუხაროდ, რაიმე მნიშვნელოვანი ლიტერატურა ფოლკლორის შესახებ არ მომეპოვება, თორემ არ დაგიკავებთ.

8. წიგნის კომენტარიებით დატვირთვისა ნუ გეშინიან. უკომენტარიებოდ მასალას მნიშვნელობა ეკარგება. მკითხველმა ნათელი წარმოდგენა უნდა მიიღოს საქმის მთელი და ნამდვილი ვითარების შესახებ.

9. კომენტარიებს გარდა საჭირო იქნება ლექსიკონი გაუგებარი სიტყვებისა. ლექსიკონი ბოლოს დაურთეთ. აღნიშნეთ, თუ სად გვხვდება სიტყვა. ამისთვის იხელმძღვანელეთ ჩემ მიერ ვაჟა—ფშაველას I, II და IV ტომისათვის დართული ლექსიკონებით.

10. სარჩევი წინ გაუშვით. სარჩევი და წინასიტყვაობა სულ ბოლოს ააწყობინეთ და სხვა პაგინაციით (რომაულით) გაუშვით და წინ მოაქციეთ.

11. თითოეულ განყოფილებას თავ—თავისი შესაფერისი წარწერები უნდა ჰქონდეს ყოველ გვერდზე თავში, გვერდების ციფრების გასწვრივ. წიგნს რომ გაშლის მკითხველი, ერთბაშად უნდა მიხვდეს, თუ რასთან აქვს საქმე: ზღაპართან, არაკთან თუ სხვა რამესთან.

12. ლექსიკონის შედგენისა და ადვილად მოხმარების მიზნით თვითეულ გვერდზე გაუშვით სტრიქონთა სათვალავები: 5, 10, 15, 20, 25, 30, 35, როგორც ეს არის ჩემ მიერ გამოცემულს ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის ქრესტომათიის მეორე და მესამე გამოცემაში.

ჯერხნობით ეს იყოს. მაცნობეთ, კიდევ რა გაწუხებთ და რამდენადაც შეიძლება მიწერ—მოწერის საშუალებით, დაგეხმარებით. ტფილისში თუ მოგიხდეთ ყოფნა, აუცილებლად მნახეთ.

მარად თქვენი
დაწინაურების მსურველი
ა.შანიძე. 1/III. 1937წ.“

ქართველ მეცნიერებთან ერთად, ჯემალ ნოღაიდელის მეცნიერული საქმიანობისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ უცხოელი მკვლევარებიც. ერთ—ერთი იყო უნგრელი მეცნიერი, ქართველოლოგი მარტონ იშტვანოვიჩი. ბ—ნი მარტონ იშტვანოვიჩისა და ჯემალ ნოღაიდელის ურთიერთობა გაგრძელდა 1966 წლამდე, ბ—ნი ჯემალის გარდაცვალებამდე.

ცხოვრების ბოლო წლებსაც ჯ.ნოღაიდელს ისევ მისთვის საყვარელ და საინტერესო პიროვნებებთან მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები ულამაზებდა. მე—20 ს—ის 50—იან წლებში მსოფლიო მუსიკალური საზოგადოება აქტიურად დაინტერესდა მრავალხმიანი სიმღერების წარმოშობითა და შესრულებით, ამ სიმღერების შემსრულებლებით. ჯ.ნოღაიდელი ნადური პოლიფონიური სიმღერების არა მარტო შემსწავლელი, გამომზეურებელი, არამედ, უბადლო შემსრულებელიც იყო. მან ხომ მეცნიერებაში პირველმა გაუკვლია გზა ოთხხმიან სიმღერებს, რომლებიც, გურიასთან ერთად, ტრადიციულად სრულდებოდა აჭარაშიც და ჩაიწერა, დაადგინა ამ სიმღერების ათეულობით ტექსტი. ყოველივე ამან განსაზღვრა მისი სიახლოვე ქართული მუსიკალური ფოლკლორის უბადლო მკვლევართან და მეცნიერთან გრიგოლ ჩხიკვაძესთან. ბ—ნი გრიგოლიც ძალიან იყო დაინტერესებული გურულ—აჭარული ნადური სიმღერებით.

XX ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში ისინი ოჯახებით დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ერთად დადიოდნენ სოფელ-სოფელ, რაიონიდან რაიონში, ეცნობოდნენ მომღერლებს, იწერდნენ სიმღერათა ძველ თუ ახალ ვარიანტებს. ორთავეს გულსა ტკენდა ის გაუგებრობა, რაც ოთხხმიანი სიმღერების მეცნიერული აღმოჩენის პრიორიტეტულობასთან იყო დაკავშირებული (ეს ხომ ჯ.ნოღაიდელს ეკუთვნოდა!). ამ საკითხზე გრ.ჩხიკვაძის მიერ მიწერილ მრავალ წერილშია მინიშნებული. მაგალითად, 1963 წლის 7 თებერვლით დათარიღებულ გრ.ჩხიკვაძის ჯ.ნოღაიდელისადმი გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ:

„... მომიკითხეთ ალი[1] და მოაგონეთ, ნუ გადადებს წერილის დაწერას აჭარული ოთხხმიანი სიმღერების შეკრების სიმართლისა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების, უშუალოდ, ოთხხმიანობის რაობის შესახებ, რაზედაც ზოგს არა აქვს სწორი წარმოდგენა...

ჩვენ ალბათ ზაფხულში შევხვდებით და ერთად მოგვიხდება მუშაობა როგორც გურიაში (თანახმად თქვენი სურვილისა), ისე აჭარაში, სადაც კიდევ ერთხელ ვცდით ნადურების ახალი ვარიანტების ჩაწერას.

იყავით კარგად.
მარად თქვენი პატივისმცემელი
გრიგოლ ჩხიკვაძე.
7.II. 1963.“

სტატიაში რამდენჯერმე ვახსენე ჯ.ნოღაიდელის უსაყვარლესი და უახლოესი პიროვნება ბ-ნი იოსებ მეგრელიძე — ძია სოსო. მათი მეგობრული ურთიერთობა უნივერსიტეტში ყოფნის პირველსავე დღეებში ჩაისახა და ძლიერ, შესაშურ მეგობრობად გადაიქცა. მათ სიცოცხლის ბოლომდე უერთგულეს ერთმანეთს. გარდა ზემოთ მოხსენებულისა, ჯ.ნოღაიდელის არქივში ი.მეგრელიძის კიდევ მრავალი წერილია დაცული. ყველა მათგანი სიყვარულს, ძმობას, ალალ მეგობრობას ასხივებს. ადრესატისადმი მიმართული ბარათები ჩვეულებრივ იწყება სიტყვებით: სალამი ჯემალ, ძმაო ჯემალ, ძვირფასო ჯემალ, ჩემო მეგობარო ჯემალ, ჩემო ჯემალ „ღუზია“ და ა.შ. მეგობრული და ოჯახის წევრთა, თუ სხვა მახლობელ პირთა მოკითხვის გარდა, ეს წერილები ერთგვარი ანგარიშია მათი მეცნიერული მუშაობის, საერთო მეცნიერული ინტერესებისა თუ მთლიანად საქართველოში მიმდინარე მეცნიერული ცხოვრების შესახებ. ძია სოსოს ახარებდა თავისი მეგობრის წარმატებები და ყოველთვის მხარში ედგა მას.

ისინი მე მინახავს ცხარედ მოკამათეებიც, ძალიან გალაღებულებიც და ერთმანეთის დარღით დადარდიანებულებიც. ეს ბ-ნი სოსოს წერილებიდანაც იგრძნობა: „დიდ სიამაყესა და სიამოვნებას ვგრძნობ, შენს კარგ ამბავს და ჯანმრთელობას რომ გავიგონებ. მეტადრე ამას შენი ნაწერი რომ დაამოწმებს, ძალიან მიხარია, იმიტომ რომ შენი ხმის გაგონებისთანავე ვფიქრობ... ჯემალაი ნოღაიდელი, იზეთის ბიჭი, თუ ცოცხალია, ჯერ კიდევ არ წაქცეულა და კიდეც მუშაობს, მე რაღა მომკლავს—მეთქინ...“

ბოლო წლებში, ავადმყოფობა რომ მოეძალა ბ-ნ ჯემალს, სოსო მის გვერდით თუ მისგან შორს მყოფი, ხალისიანად ეხმარებოდა, ამხნევებდა, გულს უკეთებდა:

მშვიდად იყავი. ნუ გეშინია. შენს შრომას არაფერს დავაკლებ, რათა ის გამოიცეს.

64 წ. 4 ნოემბერი

— შენ კარგად მყავდე. გამაგრდი ჯემალ.

65 წ. 5 სექტემბერი.

— ძალიან მაწუხებს შენი ავადმყოფობა. ვთხოვ ღმერთს გამოჯანმრთელებას შენსას.

65 წ. 17 ნოემბერი.

სამწუხაროდ, ჯ. ნოღაიდელის გარდაცვალებისას ბ-ნი სოსო საზღვარგარეთ იყო. დაბრუნებისთანავე, ჩვენთან ჩამოსვლამდე, წერილით მოგვისამძიმრა. წერილში გვწერდა: „... მე მეტს რაღას გავუკეთებ ჩემს მეგობარს: წიგნს, რომელიც ანდერძით დამიტოვა, უახლოეს ხანში გამოვცემ და მის ხსოვნას სამარადისოდ შევინახავ.

1966 წ. 12 აპრილი“.

შეასრულა ძია სოსომ თავისი სიტყვა. რაც თქვა, გააკეთა კიდეც. მისი მონდომებით, საქმით, მეგობრისადმი ერთგულებით ჯ.ნოღაიდელის სიცოცხლე გაგრძელდა — ბ-ნი სოსოს რედაქტორობით გამოიცა მისი ნაშრომების ოთხტომეული.

... 1966 წლის 17 მარტი. ახლანდელი შოთა რუსთაველის ბათუმის უნივერსიტეტის (მაშინ შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი) სააქტო დარბაზში ხალხმრავლობაა. საქართველოს მთავრობისა და მეცნიერებათა აკადემიის დადგენილებით ჩვენმა საზოგადოებამ ჯემალ ნოღაიდელს დაბადების 60 და სამეცნიერო—პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადა. ამ იუბილემ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ქართული საზოგადოების დიდი სიყვარული იუბილარისადმი. მას ცხოვრებაშივე ერგო წილად დიდი სიყვარული და პატივისცემა, როგორც ქართული მეცნიერების დიდი კორიფეების, ასევე, მეგობრების, ნათესავებისა და თავისი აღზრდილებისაგან. იგი ხომ უაღრესად პატიოსანი და ალალ—მართალი ადამიანი იყო. ამაგდარ მეცნიერსა და მასწავლებელს იუბილეს ულოცავდნენ სხვადასხვა ქალაქის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, მეგობრები, ყოფილი სტუდენტები... საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის და პირადად მისი დირექტორის გიორგი ლეონიძის მისალოცი ადრესის წაკითხვის შემდეგ იუბილარს გადასცეს გიორგი ლეონიძის პირადი მისალოცი ბარათი:

„ძვირფასო ჯემალ!

ოფიციალურ მილოცვასთან ერთად, ნება მომეცით, აგრეთვე, კერძოდაც მოგილოცოთ თქვენი სახელოვანი სამეცნიერო მოღვაწეობის იუბილე.

თქვენი ღვაწლი გულთან მაქვს მიტანილი. მე პირადად, მიმაჩნია, რომ ოდესღაც დამონებულსა და დათრგუნვილს საქართველოს დიდებულ მხარეში, აჭარაში, მის დღევანდელ მოღვაწეთა, მწერალთა, მეცნიერთა შრომა, შემოქმედება და ამაგი ორმაგად შეფასების ღირსია. თქვენს მოღვაწეობას ამ მხრივაც ვაფასებ. ერთ-ერთი პიონერთაგანი მეცნიერებისა, კერძოდ, ფოლკლორისა, აჭარაში თქვენ ბრძანდებით. თქვენ პირველთაგანმა შესდგით ფეხი უჩვევსა და ძნელ სარბიელზე, გული დაუდეთ საქმეს და სახელოვნადაც გაიტანეთ ლელო, როგორც მშრომელმა, ნიჭიერმა მეცნიერმა და მამულიშვილმა, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსი ბრძანდებით. ამიტომაც წრფელი გულით გილოცავთ, გკოცნით და გისურვებთ მრავალჟამიერს და კვლავ ახალ—ახალ წარმატებებს. გაგიმარჯოს! ბარაქალა შენ!

გაუმარჯოს შენს თანამოღვაწეებს, აჭარის მეცნიერთა რაზმს, აჭარის ინტელიგენციას და ჩემს საყვარელ აჭარას!

თქვენი გიორგი ლეონიძე
თბილისი, 15 მარტი, 1966“

ასეთივე სითბოთი და სიყვარულითაა სავსე სხვა დიდი ქართველი მეცნიერების მისალოცი დეპეშებიც.

... საიუბილეო კონცერტზე მისი მშობლიური კუთხის, ქობულეთის, გუნდმა იუბილარის საპატივცემულოდ სიმღერა წამოიწყო. მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, ჯემალ ნოღაიდელს გულმა არ მოუთმინა, მომღერლებთან მივიდა და თავისი ხმაც შეუერთა. შემდეგი სიმღერა „შენ ხარ ვენახი“, აჭარაში შექმნილი ვენახის საგალობელი,

მანვე წამოიწყო. სამწუხაროდ, ეს იყო მისი უკანასკნელი სიმღერა. 1966 წლის 29 მარტს ჯემალ ნოღაიდელი გარდაიცვალა.

ჯ.ნოღაიდელის არქივში დაცული წერილები საინტერესოა ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიისათვის.

ლილი ტიკარაძე - 60 წლისთავი

ლილი სევერიანის ასული ტიკარაძე დაიბადა 1954 წლის 12 თებერვალს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში, მოსამსახურის ოჯახში. მშობლები პედაგოგები იყვნენ და ბავშვობიდან ჩაუნერგეს სწავლის სიყვარული.

საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1977 წელს დაამთავრა.

იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქალაქ ბათუმის მე-4 საშუალო სკოლაში ხაზვისა და შრომითი სწავლების მასწავლებლად, მუშაობდა მე-3 საღამოს საშუალო სკოლაში ფიზიკისა და ასტრონომიის მასწავლებლად. მას, როგორც კლასის საუკეთესო ხელმძღვანელს, მიღებული აქვს სიგელი სკოლის დირექციისგან.

1978 წელს მუშაობა დაიწყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მდივნად, ბატონ ა. ბერიძესთან, შემდეგ კი გ. ხუხუნაიშვილთან. მუშაობდა დაწყებითი განათლების და მეთოდიკის კაბინეტში ლაბორანტად.

1981 წლიდან ქალბატონი ლილი მუშაობს ბიბლიოთეკაში სხვადასხვა განყოფილებაში: დამუშავება-დაკომპლექტების განყოფილებაში, აბონემენტზე, სამკითხველო დარბაზში. 1997 წლიდან დღემდე მუშაობს მომსახურების განყოფილების გამგედ.

ქალბატონ ლილის მეუღლე ადრე გარდაეცვალა. ჰყავს ქალიშვილი ხათუნა მარაქველიძე, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და ორი შვილიშვილი — ანა და სანდრო მარშანიშვილები.

33 წელია ქალბატონი ლილი ემსახურება უნივერსიტეტს, კვალიფიციურ დახმარებას უწევს სტუდენტს და ლექტორს. არის დაუზარებელი, შრომისმოყვარე, პასუხისმგებელი... იგი დღესაც შესაშური ენერგიით ემსახურება ბიბლიოთეკაში შემოსულ თითოეულ მკითხველს.

ბიბლიოთეკა ულოცავს ქალბატონ ლილის დაბადების დღეს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს. კიდევ მრავალი წელი ეღვაწოს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტი-ახალგაზრდობის საკეთილდღეოდ.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლები

ბუნების გამოღვიძება და ალერგია

ზოგისთვის გაზაფხული ბუნების გამოღვიძება, მზის პირველი თბილი სხივებით ტკბობის შესაძლებლობაა, სხვებისთვის კი - კანის ქრონიკული დაავადებების გამწვავების საშინელი მოლოდინი და ალერგიული დაავადებების გამოვლენა. დიახ, სწორედ გაზაფხულზე ბევრი ადამიანის ორგანიზმი განსაკუთრებით დასუსტებულია და ამიტომაც წარმოადგენს დაავადებისთვის დაუფარავ სამიზნეს. გაზაფხულის მოსვლასთან ერთად „აყვავებას“ იწყებს დერმატოლოგიური დაავადებებიც და ჩრდილს აყენებს ბუნების გამოღვიძებას, სასიამოვნო ცვლილებების მოლოდინს.

გაზაფხულზე კანი საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას. ზამთრის ყინვა და მომატებული ტენიანობა ნამდვილი სტრესია კანისთვის, ამას ემატება ეგრეთ

წოდებული გაზაფხულის მსუბუქი ავიტამინოზი (რაც მოიცავს მოსახლეობის 80%-ს). კანზე იწყება სიწითლე, სიმშრალე, გამონაყარიც კი. ვიტამინების ნაკლებობა აისახება არა მარტო კანზე, არამედ თმებსა და ფრჩხილებზეც, კერძოდ, იწყება თმის ცვენა, გამოშრობა, ფრჩხილების აქერცვლა, მტვრევადობა. ყველა აღნიშნული გამოვლინება შეიძლება იყოს უკვე არსებული ქრონიკული დერმატოზის გამწვავების მანიშნებელი, ან დასაწყისი ახალი დაავადებისა.

თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო ასევე ერთ-ერთ არაალერგიული ბუნების დაავადებაზე, რომლის განვითარება ან გამწვავება უკავშირდება გაზაფხულის მოსვლას, კერძოდ კი მზის სხივების ზემოქმედებას, ეს გახლავთ ნაირფეროვანი პიტირიაზი (სხვადასხვა ფერის პიტირიაზი). დაავადება საკმაოდ გავრცელებულია ახალგაზრდებში, მას იწვევს საფუარი სოკო, ხასიათდება კონტაგიოზურობით. დაავადება ვლინდება სხვადასხვა შეფერილობის ლაქების განვითარებით, ლაქები შეიძლება იყოს ერთეული (ძირითადად კისრის, გულმკერდის, ზურგის მიდამოში) ან მოიცვას სხეულის დიდი ნაწილი. ლაქების განვითარება უკავშირდება მზის სხივების ზემოქმედებას, სხეულის ტემპერატურის მომატებს, კანის მომატებულ ოფლიანობას. დაავადების ხელშმწყობი მდგომარეობებია - ენდოკრინული მოშლილობა, ჰიპოვიტამინოზი, იმუნიტეტის დაქვეითება. გამოყარი ლაქების სახით ვრცელდება მთელს სხეულზე, რაც არაესთეტიურია და რა თქმა უნდა, ახალგაზრდებს უქმნის დისკომფორტს. თვითმკურნალობის ან არასწორი მკურნალობის შემთხვევაში დაავადება მიმდინარეობს ხანგრძლივად, წლების განმავლობაში, ამიტომ, დაავადების პირველი გამოვლინებებისთანავე, დროულად უნდა მიმართონ დერმატოლოგს, რათა დაისვას დროული დიაგნოზი და ჩატარდეს ყველა საჭირო პროცედურა. არ დაივიწყოთ ასევე, რომ ნაირფეროვანი პიტირიაზის პროფილაქტიკისათვის მნიშვნელოვანი პირადი ჰიგიენის სწორად დაცვა.

ცნობილია, რომ გაზაფხულზე ორგანიზმის მგრძნობელობა ალერგიის გამომწვევი ფაქტორების მიმართ გაზრდილია, ბუნებაში კი მცენარეების აყვავებასთან ერთად მომატებულია თვით ალერგენების რაოდენობაც. ალერგია შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვაგვარად — ურტიკების, შეშუპების ან ძლიერი ქავილის სახით -ალერგენთან (ალერგიის გამომწვევ აგენტთან) კონტაქტის შემდეგ. ალერგენი

ადამიანის ორგანიზმში შეიძლება მოხვდეს გარემოდან ბუნებრივი გზით: საკვებთან და სასმელთან ერთად - კვებითი ალერგია, უშუალოდ კანზე კონტაქტით - კონტაქტური ალერგია (მაგ. ცხოველის ბეწვი, სარეცხი ფხვნილები), სუნთქვის პროცესში - სუნთქვითი ანუ რესპირატორული ალერგია. ცივ წყალში ბანაობისას შეიძლება განვითარდეს სიცივისმიერი ალერგია. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ბევრ ადამიანს არ ახარებს მზის სხივები,რადგან მათ შეუძლიათ გამოიწვიონ ე.წ. ფოტოდერმატიტი (ალერგია მზეზე). ფოტოდერმატიტის მიზეზი მზის სხივების გარდა შეიძლება იყოს სოლარიუმის დასხივებაც.

ალერგიული ბუნების დაავადებებს, რომლებიც თავს იჩენენ კანზე არის ატოპიური დერმატიტი, ეგზემა, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება. საკმაოდ ხშირად ალერგია კანზე ვლინდება ჭინჭრის ციების სახით, რომელიც ალერგო-ტოქსიკური დაავადებაა. ჭინჭრის ციება შეიძლება განვითარდეს კონკრეტული საკვები პროდუქტების (კვერცხი,ზღვის პროდუქტები, შებოლილი პროდუქტები და ა.შ), წამლების მიღების მცენარის მტვერთან, ასევე სიცივესთან ან მზის სხივებთან კონტაქტის შემდეგ. დაავადების განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებს მიეკუთვნება ნერვულ-ენდოკრინული დარღვევები, კუჭისა და ნაწლავების დაავადებები, ქრონიკული ინფექციის კერები.

ტერმინ - ჭინჭრის ციებაში იგულისხმება ალერგიული რეაქცია, რომელიც ვლინდება კანზე გამონაყარის წარმოქმნით, ის ჰგავს გამონაყარს, რომელიც ვითარდება კანზე მცენარე ჭინჭარის შეხებით, ამიტომ ეწოდა დაავადებას ეს სახელწოდება. აღნიშნულ დაავადებას შესაძლოა ახასიათებდეს მწვავე ან ქრონიკული მიმდინარეობა. მწვავეს შემთხვევაში ტანზე წარმოიქმნება სხვადასხვა ზომის ურტიკარიული გამონაყარი, შესაძლოა გამონაყარი გაერთიანდეს და მოიცვას თითქმის კანის მთლიანი ზედაპირი. გამონაყარისთვის დამახასიათებელია ძლიერი ქავილის შეგრძნება. ის თავისით ქრება რამოდენიმე წუთში ან საათში, იშვიათად გამონაყარი შეიძლება შენარჩუნდეს რამოდენიმე დღის მანძილზე. შესაძლოა ახლდეს შემცივნება, ტემპერატურის მომატება, გულისრევა, მუცელში ტკივილი. თუ გამონაყარი და აღნიშნული სიმპტომები რეგულარულად ჩნდება 3 თვის განმავლობაში, მაშინ მას აქვს ქრონიკული მიმდინარეობა. თუ ალერგიის მიზეზი ვერ დგინდება, რაც ასევე საკმაოდ ხშირია, საქმე გვაქვს იდიოპათიურ ალეგიათან.

თუ ალერგია ვლინდება კანზე ან ლორწოვან გარსზე ლოკალურად, შეშუპების სახით - კანზე ან ლორწოვან გარსზე - ეწოდება კვინკეს შეშუპება ან გიგანტური ჭინჭრის ციება. ის შეიძლება წარმოიქმნას ტუჩზე, ლოყაზე, ქუთუთოზე,ხორხზე. მას შეიძლება ახლდეს ტკივილის და წვის შეგრძნებები, ზოგჯერ ქავილი. განსაკუთრებით საყურადღებოა კვინკეს შეშუპება ხორხის მიდამოში - ჰაერსავალი გზების შეშუპებას ახლავს სუნთქვის გაძნელება - ქოშინი ხმაურიანი სუნთქვით. მსგავსი მდგომარეობა საჭიროებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას.

კანის გამოშრობის, სიწითლის, აქერცვლის კერები ქავილის შეგრძნებით -მიუთითებს ატოპიური დერმატიტის და ეგზემის განვითარებაზე. ისინი მეკუთვნება ქრონიკულ დაავადებებს. ატოპიური დერმატიტის შემთხვევაში გამონაყარის ლოკალიზაცია ხშირად პირდაპირ უკავშირდება ასაკს. ბავშვებში მას გავრცელებული გამონაყარის სახე აქვს, ასაკის მომატებასთან ერთად კი ხდება უფრო ლოკალური და საბოლოოდ ტრანსფორმირდება ნეიროდერიტად - მას ახასიათებს შემოფარგლულად განვითარებული კანის პიგმენტაციის მატება, პაპულები, აქერცვლის განვითარება, ძლიერი ქავილის შეგრძნებით. გამონაყარის ე.წ საყვარელი ლოკალიზაციაა ზედა და ქვედა კიდურების მომხრელი ზედაპირები, ასევე ხშირადაა სახეზე - თვალების ირგვლივი მიდამო, პირის ირგვლივი მიდამო. ქავილი ხშირად საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს ატარებს და საჭიროებს როგორც ზოგად, ისე ადგილობრივ თერაპიას.

აღსანიშნავია, რომ ალერგიული რეაქციების ეფექტური მკურნალობისათვის პირველ რიგში საჭიროა გამოვლინდეს ალერგიის გამომწვევი და შეწყდეს მასთან კონტაქტი. ამისავის კეთდება ალერგიული სინჯები, ელიმინაცირული ტესტები. მნიშვნელოვანია ასევე ჰიპოალერგიულ დიეტასთან ერთად მედიკამენტოზური მკურნალობა.

იმისათვის, რომ აიცილოთ ატოპიური დერმატიტის გამწვავება, არ უნდა დაუშვათ კანის გამოშრობა, რაც ყველაზე მნიშვბელოვანია დაავადების პროფილაქტიკისათვის. ამისათვის აუცილებელია რეგულარულად გამოიყენოთ დამატენიანებელი კრემები, მიიღოთ საკმარისი რაოდენობით წყალი, შეეცადოთ, არ ატაროთ სინთეტიკური და შალის ტანსაცმელი. არ მისცეთ საშუალება ალერგიას უარყოფითად იმოქმედოს თქვენს განწყობაზე.

ლელა ბერიძე,
ასისტენტ პროფესორი

დაბადებიდან 127 წლისთავის გამო

ქართული ფილოლოგიის პიონერი – აკაკი შანიძე

„ქართული ენათმეცნიერების ბელადი“, ქართველოლოგიის მამამთავარი“, „მემატიანე ქართველური ენებისა“, „თბილისის საენათმეცნიერო სკოლის ფუძემდებელი“, „ქართული ენათმეცნიერების ბერმუხა“ - ასე მოიხსენებენ აკაკი შანიძეს მისი საზოგადოებრივი და მეცნიერული ღვაწლის შეფასებისას.

მზ. შანიძე, აკადემიკოს აკ. შანიძის ქალიშვილი (ჩემი მეცნ. ხელ-ლი. ავტ.), ხშირად მესაუბრებოდა ას წელს გადაცილებული მამის ფენომენალური მეხსიერების, სიცოცხლის ხალისისა და შემოქმედებითი ენერგიის, საქმის ფანატიკური სიყვარულის შესახებ.დღესაც ჩამესმის ქალბატონი მზექალას სიტყვები: „ნ. მარად, ივ. ჯავახიშვილად, კ. კეკელიძედ არავინ იბადება. საჭიროა თავდაუზოგავი შრომა, მონდომება, საქმის სიყვარული, რათა მიზანს მიაღწიო“.

კ. დანელია და ზ. სარჯველაძე აკ. შანიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საუბრისას ხაზს უსვამენ მის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და დასძენენ: „ბუნებრივი ტალანტის, რკინისებური ნებისყოფის, მონამეობრივი რუდუნებისა და შეუპოვარი მიზანსწრაფვის შეზავების შედეგია ის უზარმაზარი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელსაც აკ. შანიძე უტოვებს თავის ხალხს. მისი მაღალაკადემიური ღვაწლი დიდტანიან 12 ტომს აღემატება. ასეთი ნაყოფიერება ძალიან იშვიათია ლინგვისტური პროფილის ფილოლოგთათვის“.

სოფელ ნოღაში (ოზურგეთის მაზრა) მედავითნე გაბრიელ ოქროპირის ძე შანიძისა და ეფიზო (ეფემია) იობის ას. შარაშენიძისოჯახს 1887 წლის 26 თებერვალს მეოთხე ვაჟი მოევლინა. პატარა აკაკი ღარიბ ოჯახში იზრდებოდა. 3-4 წლისა იქნებოდა, როცა მშობლები გაჭირვების გამო იძულებული გამხდარან სახლი გაეყიდათ და ხუთ შვილთან და საქონელთან ერთად შვიდი წელი მიწის იატაკიან, ისლით დახურულ დიდ „სამზადისში“ეცხოვრათ.

პატარა აკაკიმ სოფლის სამრევლო სკოლას მიაშურა. 1897 წელს 10 წლისამ სწავლა განაგრძო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც 1904 წელს დაასრულა. შემდგომშევიდა კლასიკურ გიმნაზიაში და ვერცხლის მედალზე დაასრულა იგი. 1909 წელს აკ. შანიძე პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა, სადაც მას ასწავლიდნენ: ვ. ბართოლდი, ი. ბოდუენდე კურტენე, ნ. მარი, ლ. შჩერბა, ა. შმიდტი, ივ. ჯავახიშვილი და სხვები. სტუდენტის მეცნიერულ აღზრდაზე ზრუნავდნენ ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი. ნ. მარი აკ. შანიძეს არა მარტო სამეცნიერო მუშაობის ჩვევებს უნერგავდა, არამედ უანგაროდ უმართავდა ხელს ეკონომიკურადაც. ხელმოკლე სტუდენტი ბევრ რამეს იკლებდა, მაგრამ მზად იყო უშურველად გაეღო ხარჯები სასწავლო წიგნების შესაძენად. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით აკ. შანიძე აქტიურად ჩაება 1908 წლის თებერვალს შექმნილი პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში. ნ. მარის წინადადებით პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტმა მესამე კურსის სტრუდენტი აკ. შანიძე 1911 წლის ზაფხულს მიავლინა ფშავსა და ხევსურეთს დიალექტური მასალის შესაკრებად. აქ მან საკმაო რაოდენობის ტექსტი ჩაიწერა, შეადგინა ფშაურისა და ხევსურულის დიალექტური ლექსიკონი, შეისწავლა ამ კილოთა ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი. ეს მივლინება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მკვლევრისთვის, რადგან ბედმა გაუღიმა და დიდ ვაჟა-ფშაველას შეახვედრა. იგი სულ ოთხჯერ შეხვდა გენიოს შემოქმედს. ვაჟას ხუმრობათაგან ახალგაზრდა აკაკის განსაკუთრებით დამახსოვრებია ასეთი ამბავი: სოფლიდან თბილისში ჩასული ვაჟა თმის შესაკრეჭად საპარიკმახეროში შესულა. პარიკმახერი შესდგომია კრეჭას, მაგრამ არ მოსწონებია თმების მდგომარეობა და ვაჟასთვის მიუმართავს: „აგეთი თავი მე ჯერ არ გამიკრეჭიაო“. ვაჟას აუხედავს დალაქისთვის და არც თუ ისე ხუმრობით უპასუხია: „მაგისთანა თავი შენ ჯერ მართლაც არ გაგიკრეჭიაო“.

1913 წლის მაისში აკაკიმ დაამთავრა უნივერსიტეტი და პროფესორობისათვის მოსამზადებლად დატოვეს ქართულ-სომხური ფილოლოგიის კათედრაზე ნ. მარის ხელმძღვანელობით. აკაკიმ საფუძვლიანად შეისწავლა მთის კილოები, რის გამოც იგი ითვლება ქართული დიალექტოლოგიის ფუძემდებლად. მისმა კაპიტალურმა წიგნმა „ქართული ხალხური პოეზია. I ხევსურული“ (1931) სათავე დაუდო ქართულ მეცნიერულ ფოლკლორისტიკას.

აკ. შანიძეს თავიდანვე ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხების საფუძვლიანად შესწავლა მონათესავე უმწერლობო ენების - სვანურისა და მეგრულ-ჭანურის მონაცემების გაუთვალისწინებლად შეუძლებელი იყო, ამიტომ ის შეუდგა მათს შესწავლას. 1916 წელს აკ. შანიძე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით სამეგრელოში საგანგებოდ სწავლობდა მეგრულს, კრებდა ტექსტებს, ორი კვირა მთიანი რაჭის სოფლებშიც იყო, სადაც დიალექტოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებს აგროვებდა.

მიუხედავად იმისა, რომ აკ. შანიძეს პეტერბურგში ბრწყინვალე სამეცნიერო კარიერა ელოდა, როგორც კი დადგა ნატრი ჟამი ქართული უნივერსიტეტის შექმნის შესაძლებლობისა, უყოყმანოდ ამოუდგა მხარში ამ დიდი ეროვნული საქმის ერთადერთ მოთავეს, ივ. ჯავახიშვილს, და საიმედო ძალად მოევლინა თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა საინიციატივო ჯგუფს.

აკ. შანიძეს უნივერსიტეტის დაარსების დღიდანვე დაევალა სალექციო კურსების წაკითხვა არაბულსა და ძველ სომხურ ენებში, ხოლო 1919 წლიდან ქართულ ენაშიც.

1920 წლის 9 მაისს აკ. შანიძემ პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. საჯარო დაცვა კვირა დღეს შედგა ?1 აუდიტორიაში, იმჟამად უნივერსიტეტში მიღებული წესისამებრ დოქტორანტი თეთრ ხელთათმანებსა და ფრაკში გამოწყობილიყო, რადგან დაწერილი შესავალი სიტყვა შინ დარჩენოდა, ზეპირად ილაპარაკა: „დიდად ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს პირველ უმაღლეს სასწავლებელში პირველი დისერტაციის დაცვა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ბედმა მე მარგუნა. ბედნიერი ვარ, მით უმეტეს, რომ ჩემი დისერტაციის საგანია ერთი მოვლენა ქართული ენისა და სად, თუ არა საქართველოში, სად, თუ არა ჩვენს დედაქალაქი, სად, თუ არა ქართულ სამეცნიერო ტაძარში უნდა იყოს დაცული ასეთი დისერტაცია?!“ დისერტაციის თემად წარმოდგენილი იყო „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. ოპონენტებმა გ. ახვლედიანმა და ივ. ჯავახიშვილმა მაღალი შეფასება მისცეს ნაშრომს. ექვსი საათის პაექრობის შემდეგ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტმა ერთხმად მიანიჭა აკ. შანიძეს ენათმეცნიერების დოქტორის ხარისხი.

აკ. შანიძის მეცნიერული და მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბებაში ცხოველმყოფელი გავლენა ყველაზე მეტად ორმა პიროვნებამ მოახდინა - ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმა. მეცნიერი მუდამ უსაზღვრო მადლიერებას გამოხატავდა მოამაგე მოძღვრის ნ. მარის მიმართ. აკ. შანიძეს, მართალია არასოდეს გაუზიარებია ნ. მარის თეორია ქართული ენის სემიტურ ენებთან ნათესაობის თაობაზე და არც მისი იაფეტური მოძღვრება, მაგრამ დიდი მასწავლებლის შრომებსა და უზარმაზარ ორიგინალურ მეცნიერულ მემკვიდრეობას მუდამ დადებითად აფასებდა.

„აკაკი შანიძე ერთი იმ იშვიათ მეცნიერთაგანია, რომელსაც საზოგადოება სიცოცხლეშივე აღიარებს ნამდვილ კლასიკოსად და მიაგებს ყველა კუთვნილ მიწიერ პატივს“(კ. დანელია, ზ. სარჯველაძე).

ძველი და ახალი ქართული ენის ისტორია, ძველი ქართული ენის ტექსტების შესწავლა და პუბლიკაცია, მეგრული და სვანური ენების სტრუქტურა და მათი ისტორია, მეგრული და სვანური ტექსტების შესწავლა, მათი მეცნიერული პუბლიკაცია, ქართველურ ენათა ლექსიკა, ქართული დიალექტოლოგიის აქტუალური საკითხები, ქართული დიალექტოლოგიური და ფოლკლორული ტექსტების შესწავლა, მათი მეცნიერული პუბლიკაცია, ქართული ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია, რუსთველოლოგია, საქართველოს ისტორიის საკითხები, ქართული ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია, ალბანისტიკისა და არმენოლოგიის ძირითადი საკითხები, ჩრდილოეთ კავკასიის ენათა პრობლემატიკა - აი, არასრული ჩამონათვალი სამეცნიერო დარგებისა და პრობლემებისა, რომელთაც მეცნიერმა რამდენიმე ასეული ნაშრომი უძღვნა, მათ შორის მონოგრაფია.

აკაკი შანიძის სახელთანაა დაკავშირებული ახალი სამეცნიერო დისციპლინის ალბანოლოგიის (აწ გადაშენებული კავკასიური წარმოშობის ხალხის – ალბანელების – ენისა და დამწერლობის შესწავლა) დაფუძნება. 1939 წლიდან საშუალო სკოლებში ისწავლება შანიძის შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა“. ღვაწლმოსილ მეცნიერს მინიჭებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია (1972). 1979 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

აკაკი შანიძე გარდაიცვალა 1987 წლის აპრილში. დაკრძალულია თსუ-ს ეზო-სავანეში.

მზია ხახუტაიშვილი,
ასისტენტ პროფესორი

ძველი ბათუმი და ჭოროხის აუზის ქართველთა ისტორიული მეხსიერების საკითხები

1878 წელს რუსეთ-თურქეთს შორის დადებული ზავის შედეგად, თურქეთის მხარეს რუსეთის იმპერიას გადასცა სამუსლიმანო საქართველოს ნაწილი, სადაც ბერლინის ტრაქტატის საფუძველზე შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელშიც გაერთიანებული გახლდათ სამი — ბათუმის, ართვინისა და აჭარის ოკრუგი. ოლქის დედაქალაქად დასახელდა ბათუმი. ზღვისპირა ქალაქი თანდათან ჩამოყალიბდა მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად და სატრანსპორტო კვანძად, სადაც თავს იყრიდა საგზაო, სარკინიგზო და საზღვაო კომუნიკაციები,

ფაქტია, რომ დღევანდელი ბათუმი დღითიდღე მეტი ინტენსივობით იზიდავს მთელი თურქეთის და მეტადრე, ,,ყარადენიზის“ მოსახლეობას. ზოგი ბედის საძიებლად მოდის აქ, ზოგი - განათლების მისაღებად, აქვე დამკვიდრებისა თუ მიღებული ცოდნის სამშობლოში წარმატებით გამოყენების იმედით, ზოგი ბიზნესის ასაწყობად და ზოგი — გასართობად. ამჯერად ნაკლებად გვაინტერესებს ჭოროხის აუზის მოსახლეობის ბათუმისკენ მისწრაფების არსი, უფრო თაობათა მეხსიერებაში შემორჩენილ იმ ლეგენდებს ვეძებთ, ძველ ბათუმს რომ უკავშირდება: ბათუმი მთელი რეგიონის მთავარი ქალაქი იყო, აქაურთა ყველა გზა ბათუმში მიდიოდა, ამდენად, საშოვარზე წინათაც ბევრი ჩამოდიოდა ამ ქალაქში, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ უფრო დაბეჩავებული ცნობიერებით.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ბათუმი უფერულ სოფელს უფრო ჰგავდა, მაგრამ ოციოდე წელში დამშვენდა და გაიზარდა. ეს ზრდა ქალაქისა განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სწორედ საშოვარზე ჩამოსულ გაჭირვებულ ფენაზე ახდენდა. ვინ იცის, სოფელში დაბრუნებული შავშელები თუ კლარჯები რას ყვებოდნენ თავიანთი ბათუმური ცხოვრების შესახებ, მაგრამ ვანთელმა ისმაილ ალთუნმა გაიხსენა, წინათ ასე იტყოდნენო: ,,ბათუმი ისე მდიდარია, სტამბოლი რომ დაინგრეს, ბათუმი ააშენებს, მაგრამ ბათუმი რომ დაინგრეს, — სტამბოლი ვერ ააშენებსო“.

ძნელი სათქმელია, როდის გაჩნდა ეს ჰიპერბოლიზებული შედარება ბათუმისა და სტამბოლისა, იქნებ ომიანობის დროსაც — მშიერი ჯარისკაცების შესაგულიანებლად - იბრძოლეთ და გამდიდრდებითო, მაგრამ ერთი რამ ცხადია - ძველ დროშივე ქცეულა ბათუმი მეტაფორად მჩქეფარე ცხოვრებისა, სიმდიდრისა და სიუხვისა, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ სხვა შემთხვევაშიც, მაგალითად, დუნე ცხოვრების გამოცოცხლების აღსანიშნავად, ამ მეტაფორას იყენებენ:

ბაზგირეთელი ენვერ ცვარიძე ყვება: ბაბუაჩემი კარჩხალას ხეობაში ცხოვრობდა, სოფელ დიდვენახში. 80-იან წლებში კარჩხალას ხეობაში გზა გაიყვანეს (მაშინ 90 წლისა იყო). ამან ის გამოიწვია, რომ ტექნიკა მომრავლდა, მითუმეტეს, ინტენსიურად გაჭქონდათ ხე-ტყეც. განა რამდენი ავტომობილი თუ ტრაქტორი იმოძრავებდა ამ მიყრუებულ ხეობაში, მაგრამ მათი შემხედვარე ეს ბერიკაცი ხშირად იტყოდა, — **აქაურობა ბათომი გახდაო...**

ეს კაცი, რომელიც სადღაც XIX საუკუნის მიწურულს უნდა დაბადებულიყო, ახალგაზრდობაში ბათუმში ყოფილა ,,ნასაქმი“. ასე რომ, სანამ ეს მხარე საქართველოს მოწყდებოდა, კაი შეღერებული ყმაწვილი იქნებოდა და შთაბეჭდილებებიც ცხოველად გამოჰყვებოდა, არაა გასაკვირი, თუ მიყრუებული სოფლიდან ჩასული და შემდეგ ამავე სოფელში მიბრუნებული ახალგაზრდისთვის ბათუმი დიდი, ჭრელი და მრავალფეროვანი ქალაქი იქნებოდა.

ჭოროხის აუზის მოსახლეობის წარმოსახვაში ბათუმი ბევრი სხვა რამითაც გამოირჩეოდა: ხილი იქაური ვარგოდა და ბოსტნეული. სიმინდი რომ სიმინდია, ისიც იმხელა

იზრდებოდა, კიბე უნდა მიგეყუდებინა, ტარო რომ მოგეტეხა. ხოხლევში, მაგალითად, დედეებიდან იციან, რომ **,,ბათუმ სიმინდი კაი ყოფილა, კოტორზე ევდოდით, არ გატყდებოდაო“.** ბათუმური სიმინდის ქებას ბევრგან გაიგონებ იმერხევში, როგორც ჩანს ძველების ნაამბობს თავის დროზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და მოარულ თქმად დარჩენილა.

შესაბამისად, ბათუმში საშოვარზე წასვლაც კი ღირსებად ითვლებოდა. სავაჭროდ კლარჯეთიდანაც დადიოდნენ, შავშეთიდანაც და ტაოდანაც. ყველაზე ხშირად, ლამის ყველა სოფელში, — ,,მარილი მოჰქონდათო“ — ამას გიამბობენ და იხსენებენ იმ ადამიანებსაც, რომლებიც მარილს ეზიდებოდნენ (მაგ, მამა, ბაბუა) და იმასაც დაგითვლიან, რამდენი დღე სჭირდებოდა ბათუმში ჩასვლა-ჩამოსვლას.

ბათუმში საშოვარზე დადიოდნენ შორეული პარხლიდანაც. ტაოს ეს ნაწილი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში რჩებოდა რუსეთის კავკასიაში დამკვიდრების შემდეგაც. თუმცა ეს ხელს არ უშლიდა პარხლელთა ბათუმისკენ ლტოლვას. ნიშანდობლივია, რომ პარხალში შემორჩენილ სამიოდე ქართულენოვან სოფელშიც და საზოგადოდ, მთელ ხეობაშიც, როგორც წესი, იხსენებენ ძველების მონათხრობს, როგორ მუშაობდნენ ბათუმში და... აქ მაინცადამაინც პურის საცხობი ჰქონდათ.

ყველა გზა ბათუმისკენ მიდიოდა-მეთქი, ვთქვი და იმასაც დავამატებ, რომ ბათუმის განდიდებული ხატების დამსახურებაა უთუოდ, რომ ლამის ყველა შორეული ამბავი, ფაქტი და მოვლენა ბათუმს უკავშირდებოდა ხოლმე: შორიდან მოსული — ბათუმიდან მოსულია, შორს წასული კი — ბათუმში წასული... ბარეთელთასა თუ წყაროსთავში ყურძენს რომ მოკრეფდნენ — და უფრო ძველად, — ღვინოსაც რომ დაწურავდნენ, ბათუმში მიჰქონდათ მაინცადამაინც, ოქრობაგეთსა თუ ფხიკურაში სომხები რომ ცხოვრობენ, ზოგი ,,დუუხოცვან, ზოგიც ბათომ გაქცევლა“. მეტიც, ზოგმა შეიძლება ისიც გითხრას, გურჯი ვინცაა შავშეთში, ყველა ბათუმიდან მოსულიაო.

მოკლედ, მე-19 საუკუნისვე მოგზაურს ევგენი ვეიდენბაუმს რომ დავესესხოთ, ბათუმი მაშინ საოცნებო ელდორადოს სახით ჰქონდათ წარმოდგენილი და რა გასაკვირია, ამ ქალაქისკენ თაობების მისწრაფებამ თანამედროვეთა შორისაც გამოჟონა, ზოგჯერ არც თუ მაინცადამაინც კეთილად. ამ ,,არაკეთილში“ უპირველესად ,,ბათუმი ჩვენი იყოს“ განწყობას ვგულისხმობ. აქ გარკვეული ფსიქოლოგიური რეაქციაც იჩენს თავს — ქართველი ტურისტების მიერ ხაზგასმით დაფიქსირება, რომ აქ უძვლესი ქართული ძეგლებია, როგორც ჩანს, ზოგს აღიზიანებს და გვითხრა კიდეც ერთმა ბერთაში: ბათუმი წინათ ჩვენი იყო და ათათურქმა ლენინს დაუთმო; ჩვენ მეომარი ხალხი ვართ, რომ მოვინდომოთ, უცებ დავიბრუნებთო. მოკლედ, ბათუმის დაჩემებით თითქოს თავისი უპირატესობაც გამოხატა და ნიშანიც მოგვიგო.

ეს ტაციობა ზოგჯერ კურიოზულადაც აისახება გურჯების გაორებულ ცნობიერებაში. ბერთაში ვინც გვესაუბრა, ქართულ წარმომავლობას უარყოფდა, მაგრამ სხვა შემთხვევაში მურღულში სიამაყით განაცხადეს — გურჯები ვართო. მალე, საუბარს შეყოლილებმა აგვიხსნეს — ბათუმი ჩვენი იყოო. ვისი, თქვენი? — გავიოცეთ ჩვენ. თურქეთისო, — გვიპასუხეს. — აბა გურჯები ვართო? — შევახსენეთ და ბათუმის მითვისების მცდელობაც ამით დამთავრდა.

ამრიგად, ძველების გულუბრყვილო რწმენა, რომ ბათუმი დედამინის ზურგზე ყველაზე აღმატებული ქალაქია, დღესაც ახსოვთ. ცხადია, თანამედროვე გურჯები ესოდენ გულუბრყვილოები არ არიან და ბათუმისადმი ინტერესი დღეს უფრო რეალისტური და პრაგმატულია. თანამედროვე ბათუმში აღარ ხარობს სიმინდი, რომლის კენწერომდე აფოფხება შეიძლება, სამაგიეროდ ბეჩავის ფსიქოლოგია მტკიცე თავდაჯერებამ შეცვალა და იმის რწმენამ, რომ თუ ფხას გამოიჩენ, ბათუმში ცხოვრების მოწყობა შეიძლება.

მალხაზ ჩოხარაძე,
სრული პროფესორი

საერთაშორისო ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში

საქართველო განეკუთვნება მცირე ერების რიცხვს, შესაბამისად იგი დიდ გავლენას ვერ ახდენს საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე და პასიური პოზიცია უჭირავს მსოფლიო ბაზარზე. ამ თვალსაზრისით, ჩვენს ქვეყანაში ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი. მაგ., პრივატიზაციის დროს დაშვებული შეცდომების შედეგად გასხვისდა სახელმწიფოსათვის ბევრი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტი. ხშირად არასწორი ფორმით (მაგ., ერთ ლარად პირდაპირი მიყიდვის გზით, ფარული აუქციონის წესით და ა. შ.) ხდებოდა პრივატიზაციის პროცესი, რაც აუქციონში მონაწილეებს შორის იწვევდა უსამართლობის განცდას. ადგილი ჰქონდა როგორც ტენდენციურ შესყიდვებს კონკურენტების შესახებ დაინტერესებულ პირებზე ინფორმაციის ფარულ მიწოდებას, ისე კორუფციულ გარიგებებს და ა. შ. პრივატიზებას დაექვემდებარა ბევრი ისეთი ობიექტიც (პორტი, აეროპორტი და სხვა), რომელიც წმინდა ეკონომიკურ ხასიათს ატარებს, მაგრამ მათი ფუნქციონირება პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფო ინტერესებს.

საერთაშორისო ბიზნესი მოიცავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სწორედ ის გარემოება, რომ პრივატიზება განხორციელდა სამართლებრივად თითქოს მოწესრიგებულად. როდესაც საქმე ეხება ბიზნესს და მასთან დაკავშირებულ პროექტებს, სახელმწიფოს მიდგომა უნდა იყოს აბსოლიტურად ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ამ დროს ეკონომიკის სამინისტრო უნდა მოქმედებდეს სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან, ტურიზმის ეროვნულ სააგენტოსთან, საქართველოს პარლამენტთან და სხვა სტრუქტურებთან შეთანხმებით — ანუ ეს არაა პრივატიზაციის საკითხით დაკავებულ ადამიანთა მცირე ჯგუფის გადასაწყვეტი.

ბიზნესის სათანადოდ ორგანიზებისათვის არ არის საკმარისი საზღვარგარეთიდან ქვეყნის შიგნით საინვესტიციო ნაკადების მოზიდვა. საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის საჭიროა ყურადღება გამახვილდეს იმაზე, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პროექტებით უცხოელ ინვესტორთა დასაინტერესებლად? ამ კუთხით გამოიკვეთა მრავალი გზა და საშუალება, მაგრამ მათი რეალიზაციისათვის მთავარია სტაბილურობის უზრუნველყოფა. მართალია, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის საომარი მოქმედებები არ განახლებულა, მაგრამ ამ ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა, კავკასიის რეგიონს უქმნის საფრთხეს.

ამ დროისათვის საქართველოს მნიშვნელოვნად შეერყა სტაბილური ქვეყნის იმიჯი. თუმცა თანამედროვე ეტაპზე ჩვენმა ქვეყანამ რამდენადმდე შესძლო აემაღლებინა ბიზნესის წარმოების უსაფრთხოება, მაგრამ პრობლემა ბოლომდე მაინც არ არის გადაჭრილი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს საქართველოს ურთიერთობები რუსეთთან. ძნელია ევროპის ან თუნდაც სხვა რომელიმე კონტინენტის ნებისმიერი ქვეყნის ინვესტორის დარწმუნება ჩვენი ქვეყნის სტაბილურობაში.

სამწუხაროდ, თუ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება არ იქნება სტაბილური დროის ხანგრძლივ პერიოდში, ის შედეგები, რაც მიღწეული იქნა წინა პერიოდში, ვერ შენარჩუნდება და საქართველოში საერთაშორისო ბიზნესის პოტენციურ დონემდე განვითარებას ათწლეულები დასჭირდება. რაოდენ მდიდარი ეკონომიკური პოტენციალიც არ უნდა გააჩნდეს ქვეყანას, მასში მსხვილი კაპიტალი მაინც არ ინვესტირდება. თუკი სახელმწიფო არ იქნება, უპირველეს ყოვლისა, სტაბილური პოლიტიკურად. სხვა შემთხვევაში ბიზნესის განვითარებას პერსპექტივა არ ექნება. ბიზნესის განვითარება ჩვენს ქვეყანაში შეფერხდება, თუ არ აღსდგა კეთილმეგობრული ურთიერთობა რუსეთთან.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს დროებით დაკარგული აქვს შავი ზღვისპირა ერთი რეგიონი — აფხაზეთის ტერიტორია და შიდა ქართლის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელზეც არ ვრცელდება ჩვენი ქვეყნის იურისდიქცია, საერთაშორისო ბიზნესის განვითარება ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე ეტაპზე უახლოეს წლებში საკმაოდ წინააღმდეგობრივი იქნება. რადგანაც საქართველოში ვითარება ჯერ კიდევ არ არის სტაბილური, ამიტომ უცხოელი ინვესტორები თავს არიდებენ საქართველოში კაპიტალის დაბანდებას. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების გარკვევამდე უცხოელი ინვესტორები იმყოფებიან მოლოდინის რეჟიმში. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ბიზნესის განვითარების შედეგები საქართველოში არ არის მთლად სახარბიელო, მაგრამ უნდა ვიმედოვნებდეთ იმასაც, რომ ჩვენმა ქვეყანამ ძალიან ბევრი რამ ისწავლა საკუთარ შეცდომებზე.

საქართველოში საერთაშორისო ბიზნესის განვითარებას სერიოზულად უშლის ხელს ამ დარგისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა. როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად. გაცვეთილია მოქმედი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე შეუძლებელია აქ ბიზნესის განვითარება. სამწუხაროდ, ბიზნესის მენეჯმენტის ადგილობრივი გამოცდილების უქონლობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების შეზღუდულობის გამო, ძალიან რთულდება საერთაშორისო დონის ინვესტორების მოზიდვა. შესაბამისად, საქართველოში დაბალია სერვისის დონე. თუ დროულად არ გატარდა ადექვატური ღონისძიებები, ეს ფაქტორი შექმნის მნიშვნელოვან ბარიერს საინვესტიციო გარემოს სრულყოფის სფეროში და ხელს შეუშლის ხელისუფლებას საინვესტიციო პროექტების რეალიზებაში. აღნიშნული პრობლემების მოგვარება არც თუ ისე ადვილია.

პრობლემას მხოლოდ კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და ინფორმაციული ტექნოლოგიების ფორმირება ვერ გადაჭრის. საქართველოს მეწარმეები თავიანთ პროდუქციას, შეფუთვის, მარკირების და სხვა მახასიათებლების მიხედვით, ხშირად მოუმზადებლად წარმოადგენენ, რაც სერიოზული პრობლემაა თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესში. როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, ძირითადი პრობლემა, რომელიც წარმოიქნება საქართველოს პროდუქტის უცხოურ ბაზარზე გატანის დროს, განპირობებულია ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობით და სამრეწველო ინფრასტრუქტურის განვითარების ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალი დონით. დღევანდელ პირობებში უცხოურმა კომპანიებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარზე.

ყოველივე ეს კი უნდა განხორციელდეს ბაზარზე მარკეტინგული კვლევების მენეჯმენტის სწორი სტრატეგიის გამოყენებით, მოთხოვნის ახალი სეგმენტის შექმნითა და შემდგომი გაფართოებით. გარდა ამისა, ბიზნესი საქართველოში, რეგიონების მიხედვით, უთანასწოროდ არის განვითარებული. ჩვენს ქვეყანაში პრიორიტეტული უნდა იყოს სამეწარმეო სექტორის, ცალკეული რეგიონების მიხედვით, განვითარება. იგი თანაბრად უნდა ვითარდებოდეს როგორც ცენტრალურ, ისე პროვინციულ, სასაზღვრო და ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონებშიც. ასეთი პრობლემები საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის უცხო არ არის, რაც დაუყონებლივ საჭიროებს აღმოფხვრას. ამაში კი ჩვენი ქვეყნის კომპანიებს დაეხმარება ბიზნესის მართვის სფეროში საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა, ეროვნულ სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

მართალია ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი მეწარმეობის განვითარება, მაგრამ ამით პერსპექტიული ბიზნესის ჩამოყალიბება შეუძლებელია. გარდა ამისა, ადგილობრივი, დაბალი გადახდისუნარიანობის მქონე მომხმარებელთა იმედით სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა ვერ მოხერხდება და მას მრავალი წელი დასჭირდება. რაც საკმაოდ დიდი დანაკარგი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის. სწორედ ზემოთ განხილული ფაქტორები არის ქვეყანაში ბიზნესის შეფერხებით განვითარების უმთავრესი მიზეზები.

საქართველოში ბიზნესის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა კერძო სექტორში აშენდეს ახალი ტიპის საწარმოები. იმავდროულად უნდა გაუმჯობესდეს სერვისული ინფრასტრუქტურაც — ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, რესტორნები და ა. შ. საბაზრო ინფრასტრუქტურა არათანაბრადაა განვითარებული რეგიონებში. თუ მაგალითად, ამ თვალსაზრისით გარკვეული წინსვლა იგრძნობა აჭარაში ან კახეთში, მაცხოვრებლებისაგან იცლება ფშავი, ხევსურეთი, სამეგრელო და ა. შ., რაც იმაზე მიუთითებს, რომ არასწორად არის შერჩეული ბიზნესის განთავსების ინტენსიფიკაციისა და დივერსიფიკაციის ფორმები.

საქართველოს თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციებთან საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა სრულად აკმაყოფილებდეს ბიზნესის ინდუსტრიის მზარდ მოთხოვნებს. ჩვენს ქვეყანას მართლაც გააჩნია ბიზნესის განვითარების პერსპექტივა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში ამ კუთხით ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. როდესაც საუბარი ეხება საქართველოში საერთაშორისო ბიზნესის განვითარების პერსპექტივებს, რისთვისაც საჭიროა მოხდეს ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა. საქართველოს ხელისუფლებამ უკვე კარგად იცის, თუ რა ბრენდი შეიძლება შესთავაზოს უცხოელ მომხმარებელს.

თანამედროვე საქართველოს ცხოვრებაში ხელისუფლების მიერ აღიარებულია ბიზნესის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა. უცხოური კაპიტალის ჩვენს ქვეყანაში მოზიდვა სულ უფრო აქტიურად განიხილება რეგიონული ინტეგრაციული პროცესებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული თანამშრომლობის კონტექსტში. XXI საუკუნის I ათწლეულში საქართველოს ბუნებრივი და კულტურული რესურსების გამოყენების თვალსაზრისით, ჩამოყალიბდა მდგრადი განვითარების ეკონომიკა, რასაც ადასტურებს ბიზნესის მაკროეკონომიკური ანალიზი. საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე გავლენას ახდენს პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორები. მიუხედავად ამისა, ბიზნესს აქვს უნარი სწრაფად აღიდგინოს თავისი მდგომარეობა, რადგანაც ბაზრებს შორის ხდება რესურსების სწრაფი გადანაწილება და მიიღწევა შიდა ბაზრის წონასწორობა.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, თავისი რესურსული პოტენციალით, ბიზნესს გააჩნია განვითარების დიდი შესაძლებლობა. ჩვენს ქვეყანაში ამ სექტორის წარმატება უდიდეს გავლენას ახდენს მთელი ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობაზე, დასაქმების დონის ზრდაზე, ცალკეული რეგიონის განვითარების გამოთანაბრებაზე, ინფრასტრუქტურისა და კერძო სექტორის განვითარებაზე. თანამედროვე ეტაპზე საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია სიღარიბის დაძლევა, დარგობრივი ორიენტაციისა და პრიორიტეტების დადგენა, რომელიც ეყრდნობა შემდეგ კრიტერიუმებს: რა რესურსებზე უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება და რომელი დარგების განვითარება მისცემს ქვეყანას პირდაპირ ეფექტს ღარიბი ფენების შემოსავლების ზრდაში. ჩვენი აზრით, ამ კუთხით, ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, დიდი უპირატესობით სარგებლობს ტურიზმის დარგი, რადგანაც ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობისა და ზრდის მაღალი ტემპების გამო, ტურიზმი მიჩნეულია XXI ს-ის ფენომენად.

საქართველოს ტურიზმის სფეროში არსებული უდიდესი პოტენციალის ასამოქმედებლად საჭიროა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ქვეყნის ტურისტულ-საკურორტო რესურსები, განისაზღვროს ტურიზმის განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებანი, უნდა შემუშავდეს დარგის განვითარების სწორი სახელმწიფო პოლიტიკა. ამისათვის კი, თავის მხრივ, საჭიროა გატარდეს ადექვატური სარეკლამო-მარკეტინგული ღონისძიებები. თანამედროვე საქართველოში არსებობს ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი მრავალი ფაქტორი. კერძოდ, ესენია: 1. არ არის შემუშავებული ბიზნესის დარგთაშორისი, დაბალანსებული განვითარების ერთიანი სახელმწიფო კონცეფცია; 2. ეროვნულ დონეზე არაა შემუშავებული ბიზნესის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდიკა; 3. სრულყოფილად არ არის განსაზღვრული ჩვენი ქვეყნის რეგიონების რესურსული პოტენციალი; 4. არ არის შემუშავებული ბიზნესის განვითარების რეგიონული პროგრამები; 5. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შესაქმნელია მომსახურების ურთიერთკოორდინირებული, ფართო ქსელი; 6. საქართველოს ეკონომიკურ დარგებში სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და საბაჟო სამსახურებში არ არის დანერგილი სტანდარტული საერთაშორისო კლასიფიკატორი, რაც საშუალებას იძლევა გაიზომოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ბიზნესის ეკონომიკური ეფექტიანობა; 7. მოსაწესრიგებელია ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების იმპორტ-ექსპორტის აღრიცხვიანობა; 8. არ არის მოწესრიგებული სარეკლამო-საცნობარო და ბიზნესთან დაკავშირებული პოპულარული ლიტერატურის გამომცემლობა; 10. ასამოქმედებელია მოსახლეობის ეკონომიკური განათლების პროგრამები; 11. არ არის ჩამოყალიბებული კეთილმეზობლური ურთიერთობები რუსეთთან. ამ პრობლემების დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლების, კერძო სტრუქტურებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობით.

საქართველოში ბიზნესის სრულყოფილი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საჰაერო ტრანსპორტის გამართულ ფუნქციონირებას. კერძოდ, ამ სფეროში არსებობს შემდეგი შემაფერხებელი ფაქტორები: ნაკლებია საქონლის რეალიზაციის არსებულ და პოტენციურ ბაზრებთან დამაკავშირებელი მარშრუტები, დიდია ადგილობრივი პროდუქციის პოტენციურ მომხმარებლამდე მიტანის მანძილი (ევროპის ბაზრებთან დასაკავშირებლად საჭიროა 4 ფრენა/საათი), ავიარეისები სრულდება გვიან ღამე, ან დილაადრიან, ხშირად იცვლება ფრენის განრიგი, კონფლიქტებია ავიაკომპანიებს შორის და ა. შ.

ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი უარყოფითი ფაქტორები ორ ჯგუფად იყოფა. ესენია: გარე და შიდა ფაქტორები. კერძოდ, გარე ფაქტორებს განეკუთვნება საერთაშორისო დონის ომები, მსოფლიო ფინანსური კრიზისები, ტერაქტები, ეპიდემიები, დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან და ა. შ., ხოლო შიდა ფაქტორებს კი განეკუთვნება: კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან, პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობა და ა. შ. გარდა ამისა, კიდევ არსებობს ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი, შემდეგი ფაქტორები: 1. ქვეყნის უარყოფითი პოლიტიკური იმიჯი; 2. საქართველოს პროდუქციის საერთაშორისო პოპულარიზაციის, რეკლამირებისა და მარკეტინგის დაბალი დონე; 3. პროდუქციის მრავალფეროვნების უზრუნველყოფის პრობლემები; 4. ბიზნესის უსაფრთხოებისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე; 5. ბიზნესის კვალიფიცირებული კადრებით უზრუნველყოფის პრობლემები და სხვა ფაქტორები.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ საერთაშორისო ბიზნესის განვითარებას საქართველოში, უარყოფითად მოქმედებენ უცხოელი ინვესტორების საქართველოში შემოსვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. როგორც აქ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, ბიზნესის განვითარების აუცილებელი პირობაა ინვესტორთა მიერ დაბანდებული კაპიტალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ქვეყნის იმიჯის ამაღლება. ამ მხრივ, კი საქართველოს არასახარბიელო მდგომარეობა აქვს: ჩვენს ქვეყანაში, ბიზნესის განვითარების მხრივ სტაბილური გარემოს შექმნის მიზნით საჭიროა პირველ რიგში მშვიდობიანი გზით მოგვარდეს დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან, ხოლო ქვეყნის შიგნით კი მიღწეული უნდა იქნას პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა,

დავით ძათამაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კაქტუსების მოვლა

კაქტუსები უდაბნოებში გავრცელებულ ყვავილოვან მცენარეთა თავისებური ჯგუფია, რომლებსაც მშრალ პორობებში ზრდის გამო ფოთლები გადაექცათ ეკლებად, ამით ისინი თავს იცავენ ბალახისმჭამელი ცხოველებისაგან და ამცირებენ წყლის აორთქლებას, ხოლო ღეროებმა მოიმარაგეს წყალი და მიიღეს ფოთლის, სფერული, ოვალური ან სხვადასხვა ფორმა. კაქტუსები მაღალდეკორატიული მცენარეებია. ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზომით, ფორმით და ფერით, ძალიან ლამაზ ყვავილებით. მთავარი დამახასიათებელი ნიშანი მათთვის ნელი ზრდაა, რადგან მათ ფესვთა სისტემას არ შეუძლია გარემოდან შეითვისოს წყლისა და საკვები ნივთიერებების ჭარბი რაოდენობა. ასევე მათ ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული სვენების, ზრდისა და ყვავილობის პერიოდები. ორიგინალური ფორმის გამო კაკტუსები ხშირად მოჰყავთ ოთახის პირობებში, სადაც მათი ნორმალური ზრდისათვის სასურველია იყოს შემდეგი პირობები:

1). გაზაფხულ—შემოდგომის პერიოდში ოთახში კაქტუსები უნდა მოთავსდეს ყველაზე თბილ და მზიან ფანჯრის რაფაზე მინასთან რაც შეიძლება ახლოს. ზამთრის პერიოდში ისვენებენ, ამ პერიოდში ისინი შეიძლება გადავიტანოთ ჩრდილში.

2). ქოთანი, რომელშიც ვრგავთ კაქტუსს, უნდა შეესაბამებოდეს მისი ფესვთა სისტემის ზომას. მოკლე ფესვების მქონე კაკტუსები უნდა ჩაირგოს დაბალ ქოთანში და პირიქით. სასურველია, კაქტუსები ჩაირგოს მრგვალ და არა დაკუთხულ პლასტმასის ქოთანში, თუმცა დასაშვებია თიხის ქოთანიც. მთავარი პირობა კაქტუსების კარგად განვითარებისათვის არის ქოთანში ჩარგვის დროს ფსკერზე მოვათავსოთ ქვები ან პლასტმასის ნაჭრები, რასაც დრენაჟი ეწოდება, რათა ზედმეტმა წყალმა არ გამოიწვიოს ფესვების დალპობა. სუბსტრატი, რომელშიც ვრგავთ კაკტუსს, უნდა შედგებოდეს მიწის , მდინარის სილის, ნახშირისა და ტორფის თანაბარი რაოდენობისაგან. ღეროს ფუძე არ უნდა დაიფაროს მიწით. სასურველია ქოთნის ზედაპირზე დავყაროთ ქვის კენჭები.

3). მორწყვა. კაკტუსების მოსარწყავად გამოიყენება წვიმის, გადადუღებული ან დამდგარი რბილი წყალი, რომელსაც აქვს სუსტი მჟავე რეაქცია. ისინი ირწყვება მხოლოდ ვეგეტაციის პერიოდში კვირაში ერთხელ, გაზაფხულიდან შემოდგომამდე. ზამთარში კაკტუსებს არ სჭირდება მორწყვა. ასეთი პირობების დაცვის შემდეგ დიდი შანსია მცენარეებმა დაიწყონ უხვი ყვავილობა.

4). ერთ—ერთი აუცილებელი პირობა კაქტუსების განვითარებისათვის არის სინათლე, ისინი ზაფხულის განმავლობაში უნდა დაიდგას ნათელ ადგილას. მათ შორის არ გვხვდებიან ჩრდილის მოყვარული სახეობები. გამოზამთრებისათვის აუცილებელია 5—15ჩ.

5) გამრავლება. ოთახის პირობებში კაკტუსების მრავლდება ვეგეტატიურად გვერდითი შვილეული გამონაზარდების საშუალებით, რომლებიც უნდა მოვაცილოთ დედა მცენარეს და მოვათავსოთ ტენიან სუბსტრატზე. თუ კაქტუსს არ უვითარდება შვილეული გამონაზარდები, გასამრავლებლად მას ბასრი დანით უნდა მოვაჭრათ რომელიმე ნაწილი და გავაჩეროთ მშრალ პირობებში 3—4 დღის განმავლობაში. შემდეგ ჩავრგოთ ტენიან მიწაში.

ნათელა ვარშანიძე,
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

,,HILTON ბათუმის“ გენერალური მენეჯერი ნელსონ სტიურატი ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა

„HILTON ბათუმის“ გენერალური მენეჯერი ნელსონ სტიურატი და HILTON-ის სათაო ოფისის წარმომადგენლები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდნენ. კოპანიის გენერალურმა მენეჯერმა სტუდენტებს „HILTON ბათუმი“ და საერთაშორისო ბრენდის სტანდარტები წარუდგინა. ნელსონ სტიურატმა შეხვედრაზე ასევე ისაუბრა ტურიზმის ფაკულტეტთან პარტნიორობის სტრატეგიაზე და სტუდენტებს დასაქმება შესთავაზა. „HILTON ბათუმი“ მესამე საერთაშორისო ბრენდია, რომელთანაც ტურიზმის ფაკულტეტი აქტიურ თანამშრომლობას იწყებს. საერთაშორისო ბრენდის სხვადასხვა კომპანიაში დღემდე ტურიზმის ფაკულტეტის 150-მდე სტუდენტია დასაქმებული. შეხვედრის დასასრულს „HILTON ბათუმის“ წარმომადგენლებმა 10 იღბლიან სტუდენტს საჩუქრად სასტუმროს მომსახურების პაკეტი გადასცეს.

უნივერსიტეტში „ELSA ბათუმის“ წარდგინება გაიმართა

ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია ბათუმში - “ELSA ბათუმის” წარდგინება გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. “ELSA ბათუმის” ხელმძღვანელმა, ბსუ-ს სტუდენტმა ლევან კუტუბიძემ სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებს საერთაშორისო სტუდენტური ორგანიზაციის საქმიანობა, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები, სხვადასხვა სახის პროექტები, პრიორიტეტები და პერსპექტივები გააცნო. ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია 42 სახელმწიფოს 300-მდე უნივერსიტეტშია წარმოდგენილი და 32 ათას სტუდენტს აერთიანებს. ამ ეტაპზე საერთაშორისო ორგანიზაციაში ბსუ-ს 40 სტუდენტია გაწევრიანებული.

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე



სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეცხლაძე
ინგა შამილიშვილი
ნათია ნიკლაშვილი
ნინო დოლიძე
ფურმან ბორგოშაძე
დავით ბარათაშვილი
გურამ ჩაგანავა
შოთა მამულაძე

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7